პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 5 დეკემბერი, 1947 წ. № 242 (8026). ფასი 20 კაპ.

დღეს შესრულდა 11 წელი, რაც საბჭოების VIII საკავშირო ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია—სტალინური კონსტიტუცია.

სტალინური კონსტიტუციის დროშით, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა.

ამავე დროშით ჩვენი ხალხი წარმატებით აშენებს სრულ კომუნისტურ საზოგადოებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედს, ყველა ჩვენი გამარჯვების გენიალურ ორგანიზატორს მშობლიურ **სტალინს!**

სტალინური კონსტიტუციის დროშით წინ,— კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

თერთმეტი წლის წინათ, 1936 წლის 5 დეკემბერს, საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძირითად კანონს წარმოადგენს. საბჭოთა ხალხმა ახალ კონსტიტუციას უწოდა მისი დიდი შემოქმედის, პარტიისა და ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის სახელი. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების დღე—5 დეკემბერი — ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო სახალხო ზეიმის დღედ იქცა.

სტალინური კონსტიტუციის მიღებიდან განვლილი თერთმეტი წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალე გამარჯვებანი მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ყოველ მოპოვებულ წარმატებაში ნათლად გამოსჭვივის საბჭოთა დემოკრატიის, მისი დიადი იდეებისა და პრინციპების ზეიმი, სტალინური კონსტიტუციის უძლეველი ძალა.

ახალი სტალინური კონსტიტუციის მიღებამდე ჩვენს ქვეყანაში მოქმედებდა სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია, რომელიც მიღებული იყო 1924 წელს. საბჭოთა სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის მიღება გამოწვეული იყო 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილი პერიოდის მანძილზე ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში მომხდარი ძირითადი ცვლილებებით. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად სსრ კავშირში აგებულ იქნა სოციალისტური საზოგადოება. წარმოების სოციალისტური სისტემა სრულად გაბატონდა მთელ სახალხო მეურნეობაში. ძირფესვიანად შეიცვალა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობა. ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულ იქნა ყველა ექსპლოატატორული კლასები, მოისპო კერძო საკუთრება საწარმოო იარაღებსა და საშუალებებზე, აღმოიფხვრა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და მისი წარმოშობის შესაძლებლობა. საბჭოთა საზოგადოებაში დარჩა ორი ერთმანეთის მეგობრული კლასი—მუშებისა და გლეხების კლასები, რომლებთანაც თანამშრომლობს ამ ორივე კლასიდან გამოსული ახალი საბჭოთა ინტელიგენცია. ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში სამუდამოდ გაჰქრა კრიზისები, უმუშევრობა. აყვავდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალიზმის მიღწევებზე დაყრდნობით მთლიანად განახორციელა მოქალაქეთა შრომის, დასვენების, განათლების უფლებანი. მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობა აყვანილ იქნა მაღალ დონეზე. სოციალიზმის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა საბჭოთა წყობილების შემდგომი დემოკრატიზაცია. შემოღებულ იქნა ხელისუფლების ორგანოების არჩევნები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

ამხანაგი სტალინი თავის ისტორიულ მოხსენებაში ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე, დაწვრილებით აღნიშნავდა რა სსრ კავშირში მომხდარ ცვლილებებს, მიუთითებდა, რომ ჩვენმა კონსტიტუციამ უნდა ასახოს ეს ცვლილებანი. „ამგვარად, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — ახალი კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს განვლილი გზის შედეგს, უკვე მიღწეულ მონაპოვართა შედეგს. იგი, მაშასადამე, წარმოადგენს იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც საქმით უკვე მიღწეული და მოპოვებულია“.

სტალინურმა კონსტიტუციამ ხელი შეუწყო საბჭოთა ხალხის შემდგომ შემჭიდროებას, საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალების კიდევ უფრო განვითარებას. საბჭოთა კონსტიტუციამ სულიერად შეაიარაღა ჩვენი ქვეყნის ხალხები, განამტკიცა მათი რწმენა საკუთარი ძალებისადმი, დარაზმა ისინი კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად. სტალინურმა კონსტიტუციამ ხელი შეუწყო მოკავშირე რესპუბლიკების შემდგომ აყვავებას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანებმა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში გრანდიოზული წარმატებანი მოიპოვეს. უმაგალითოდ გაიზარდა ჩვენი მრეწველობა, განმტკიცდნენ კოლმეურნეობები. ცხოვრება საამური გახდა. მაგრამ პარტიას, საბჭოთა მთავრობას არ ავიწყდებოდათ, რომ ჩვენს ქვეყანას ცხოვრება უხდებოდა იმპერიალისტური სახელმწიფოების გარემოცვის პირობებში, რომ ახალი ომის აჩრდილი თავს დასტრიალებდა მთელ მსოფლიოს. საბჭოთა ხალხმა შესძლო ქვეყანა მოემზადებინა თავდაცვისათვის. მან თავისი არმია შეაიარაღა ყველა იმით, რაც საჭირო იქნებოდა მოსალოდნელი შემთხვევის დროს მტრისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად.

1941 წლის ივნისში საბჭოთა კავშირს ვერაგულად დაესხა თავს ჰიტლერული გერმანია. ჩვენი ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაება. ამ სისხლისმღვრელ ომში გამოაშკარავდა საბჭოთა წყობილების მთელი სიდიადე და უძლეველობა. საბჭოთა სახელმწიფო წყობილებამ მკაცრ განსაცდელს გაუძლო. ამხანაგი სტალინი ომის პირველსავე წელს აღნიშნავდა, რომ „თუ საბჭოთა წყობილებამ განსაცდელს ასე იოლად გაუძლო და კიდევ უფრო მეტად განამტკიცა თავისი ზურგი, ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა წყობილება ახლა ყველაზე უფრო მტკიცე წყობილებაა“. თუ ჩვენი ქვეყანა ამ ომიდან გამარჯვებული და კიდევ უფრო განმტკიცებული გამოვიდა, ეს იყო სოციალისტური დემოკრატიზმის სასიცოცხლო ძალის შედეგი, საბჭოთა სახელმწიფოს ნამდვილი დემოკრატიული განვითარების შედეგი, საბჭოთა ადამიანების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შედეგი.

ომმა დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ფრონტული თავდადებით შეუდგა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას. ამ მშვიდობიან სახალხო შემოქმედებითს შრომაში სოციალისტური დემოკრატია საუკეთესო ფორმას წარმოადგენს მასების ინიციატივის გამოსავლინებლად, მათი ძალების დასარაზმავად დასახულ ამოცანათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

საბჭოთა დემოკრატიზმის ნამდვილ გამოხატულებას ვხედავთ სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელშიც ჩვენი დიდი სამშობლოს მილიონობით მშრომელი მონაწილეობს. ლენინგრადელთა პატრიოტული წამოწყება — ხუთწლედი შევასრულოთ ოთხ წელიწადში — სოციალისტური დემოკრატიზმის ტრიუმფია. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ რასაც ჰქმნიან — ყველაფერი ეს ხმარდება მათი კეთილდღეობის ამაღლების საქმეს, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს. ესაა მათი თავდადებული შრომის საფუძველი.

ახლა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია მზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ეს არჩევნები ტარდება სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. ქართველმა ხალხმა დეპუტატობის კანდიდატებად უკვე დაასახელა თავისი სახელოვანი შვილები, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები. თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად დასახელებულია საბჭოთა კონსტიტუციის დიდი შემოქმედი ხალხთა საყვარელი ბელადი მშობლიური სტალინი. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლები ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი და ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი. საქართველოს მშრომელები საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ საწარმოებისა და კოლმეურნეობების მოწინავე ადამიანებს, ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მებრძოლებს. სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე შემუშავებული საარჩევნო კანონი მათთვის უზრუნველჰყოფს გარანტიას დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ და მისცენ ხმა იმათ, ვინც ხალხის უსაზღვროდ ერთგულია, ვისშიც ხედავენ სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწეს.

ქართველი ხალხი სტალინური კონსტიტუციის დროშით ეგებება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს, რომელიც საბჭოთა დემოკრატიის ძალების ახალი დემონსტრაცია იქნება.

სტალინური კონსტიტუციის დროშით, დიდი სტალინის მეთაურობით საბჭოთა ხალხი მიდის წინ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი

საქართველოს სსრ მრეწველობამ შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულის ცნობებით საქართველოს სსრ მრეწველობამ 1947 წლის 1 დეკემბრისათვის საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულა 100,5 პროცენტით.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 94 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა—106,8 პროცენტით.

1946 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქცია გადიდდა 30 პროცენტით. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა საერთო პროდუქცია გადიდდა 35 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა—26 პროცენტით.

ცალკეული სამინისტროების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და დიდი საწარმოების მიხედვით საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად:

საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 110,7 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის—101,2 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობის — 101 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის—105,2 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის—100,9 პროცენტით, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მრეწველობის — 116,4 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს მრეწველობის — 108,2 პროცენტით, ინვალიდთა კოოპერაციის—129,7 პროცენტით და საქართველოს ნავთის ტრესტის ხაზით— 100,1 პროცენტით. სპილენძსაგლინავმა ქარხანამ გეგმა შეასრულა 130 პროცენტით, თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ— 105,6 პროცენტით, ქარხანა „დაზგამ“—102,5 პროცენტით, ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანამ („ცენტროლიტი“) — 107,3 პროცენტით, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ — 109,6 პროცენტით, კასპის შიფერის ქარხანამ — 103 პროცენტით და ქუთაისის ლიტოპონის ქარხანამ—105,3 პროცენტით. (საქდესი).

ჩეხოსლოვაკიის მუშების საჩუქრები

პრაღა, 2 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა დიდი აღფრთოვანებით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავი.

საბჭოთა ხალხისადმი თავიანთი მეგობრული გრძნობებისა და სიმპათიის ნიშნად ჩეხოსლოვაკიის ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა საბჭოთა კავშირში ძვირფასი სადღესასწაულო საჩუქრები გამოგზავნეს.

ქალაქ სტალინგრადისათვის საჩუქრად გამოგზავნილია კბილის საექიმო კაბინეტების 10 კომპლექტი და ერთი ვაგონი ავეჯი. ერთი ვაგონი ფურცლოვანი მინა და 4 ვაგონი მუსიკალური ინსტრუმენტები განკუთვნილია ქალაქ ხარკოვის მოსახლეობისათვის. ქალაქ გომელს გაეგზავნა სანიტარული ავტომობილი, ხოლო კიევის მშრომელებს—2 ვაგონი ფაიფურის ჭურჭელი და სხვა საჩუქრები.

მთელი ეს ძვირფასი საჩუქრები ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა შეიძინეს დასასვენებელ და უქმე დღეებში ზედმეტ საათებში მუშაობის შედეგად მიღებული სახსრებით.

მშრომელთა საჩუქრები ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისათვის სსრ კავშირის მშრომელებმა მთელი რიგი საჩუქრები უძღვნეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

უკვე დაახლოებით 200 წლის განმავლობაში არსებულმა დმიტროვის ფაიფურის ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ამხანაგ სტალინს საჩუქრად გამოუგზავნეს მხატვრულად შესრულებული მონუმენტური ვაზა.

ქარხნის კოლექტივის მიერ გაკეთებული საიუბილეო ვაზა ჭეშმარიტად მხატვრულ უნიკალურ ნაწარმოებს წარმოადგენს. უზარმაზარი, 2½ მეტრი სიმაღლის ვაზა გაკეთებულია თეთრი ფაიფურისაგან, მოხატულია ოქროთი და კობალტით. მის გვერდებზე ამოჭრილია სიტყვები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავი“. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიდ პორტრეტებს შემოვლებული აქვს მუხისა და დაფნის ფოთლების ორნამენტი. ვაზაზე ოქროთი ამოჭრილია 16 მოკავშირე რესპუბლიკის ღერბები.

სიყვარულით, ნამდვილი შემოქმედებითი მგზნებარებით მუშაობდნენ დმიტროველები საიუბილეო ნაწარმოებზე და ცდილობდნენ ოქტომბრის 30 წლისთავის დიადი თარიღის ღირსი გაეხადათ იგი. ვაზა, რომელიც ზუსტი კლასიკური სტილით არის შესრულებული, მონუმენტალობის შთაბეჭდილებას სტოვებს.

საიუბილეო ნაწარმოების შექმნაში მონაწილეობდნენ მხატვრები სმირნოვი და ტიხონოვი, მოქანდაკეები ჩეპრუნოვი და კოლჩინი, ქარხნის მთავარი ინჟინერი სუბოტინი, სტახანოველები მალიშევი, ბიკოვი, კისელიოვი, შეპელიოვი, ლოსევი და სხვები.

თავიანთ წერილში ამხანაგ სტალინის სახელზე დმიტროვის ფაიფურის ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები სწერენ:

„ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, საჩუქრად გიძღვნით ჩვენს ვაზას და გისურვებთ მრავალ წელს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ და ასაყვავებლად.

...პირობას გაძლევთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რათა ჩვენ მიერ გამოშვებული ფაიფური საუკეთესო იყოს მსოფლიოში“.

საიუბილეო ვაზა ჩამოიტანა ქარხნის სპეციალურმა დელეგაციამ, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა დირექტორის ამხ. ჟურავსკის მეთაურობით.

* * *

გულის სიწმინდით უძღვნეს თავისი საჩუქარი ამხანაგ სტალინს უკრაინის სსრ სტანისლავის ოლქის მშრომელთა დელეგატებმა. მათ დედაქალაქს ჩამოიტანეს სამუშაო კაბინეტის მოწყობილობა, რომელიც ხელოვნურად არის შესრულებული მსხლის ხისაგან გუცული ოსტატების მიერ. ავეჯი — საწერი მაგიდა, სამი სავარძელი, ცხრა სკამი, ორი დივანი, კარადა, პატარა მაგიდა ტელეფონისათვის — გულდასმით და მხატვრულად არის გაკეთებული. გუცულების ნამუშევარი უბადლო ოსტატობის ნიმუშია. ყოველი ნივთი, დაწყებული საწერი მაგიდით და გათავებული საწერი მოწყობილობით, ჩიბუხით და მაგიდის ლამპით, განირჩევა ზუსტი ამოჭრილობით, მორთულია ხალხური ორნამენტით.

გუცულმა ოსტატებმა სახელი გაითქვეს შორს, სტანისლავშჩინის ფარგლებს გარეთ. მათი ნამუშევარი ცნობილია მსოფლიოში.

ამ ნაშრომში მათ ჩააქსოვეს მთელი თავიანთი ცოდნა, მთელი ოსტატობა. ამხანაგ სტალინის საჩუქარს ერთი წლის განმავლობაში ამზადებდნენ. სტანისლავშჩინის კოლმეურნეები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მუშაობას, აძლევდნენ რჩევას, გამოსთქვამდნენ თავიანთ შეხედულებას და ცდილობდნენ შეექმნათ ნამდვილად მხატვრული ნაწარმოები. ავეჯი ღია ყვითელი ფერისაა, დადგმულია უზარმაზარ ხალიჩაზე, რომელიც გუცულმა გლეხმა ქალებმა მოქსოვეს.

ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში გუცულები მხურვალე მადლობას უცხადებენ ამხანაგ სტალინს ავსტრიელ-უნგრელ ბარონთა და პოლონელ პანთა უღლისაგან მათი განთავისუფლებისათვის, ერთიან სოციალისტურ სახელმწიფოში მათი შეერთებისათვის.

„მიიღეთ ჩვენგან, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ეს მცირე საჩუქარი, — სწერენ გუცულები, — როგორც ჩვენი დიდი მადლობის გამოხატულება, და ამასთან ერთად სურვილი მრავალჟამიერ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისა ჩვენი დიდი, მძლავრი საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ“.

იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელმაც საჩუქარი მოსკოვს ჩამოიტანა, იყვნენ: უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხეზე მხატვრული ამოჭრის არტელ „გუცულშჩინის“ თავმჯდომარე ამხ. კ. ზ. კიშჩუკი, ოსტატები ამხ. ვ. ფ. კიშჩუკი, ვ. ვ. გუზი, ნ. ი. მიტიაკინი, ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სახალიჩე არტელის თავმჯდომარე ამხ. ფ. ო. ბაბიუკი, უკრაინის კ. პ. (ბ) კოსოვის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ვ. დერევიანკო.

* * *

ამხანაგ სტალინს საჩუქრები გამოუგზავნეს აგრეთვე ხარკოვისა და კურსკის ოლქების მშრომელებმა.

ხარკოველებმა ჩამოიტანეს ორიგინალური მოზაიკური პორტრეტი, რომელიც გაკეთებულია ხორბლის, ქერის, ჭვავის, სიმინდისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მარცვლებისაგან.

ამხანაგი სტალინი გამოსახულია გენერალისიმუსის ფორმით. ამ იშვიათი ხელოვნებით გაკეთებული პორტრეტის ავტორია ვოლჩანსკის რაიონის არტელის „ოქტომბრის 12 წელი“ კოლმეურნე ამხ. ი. ა. კუზნეცოვი.

კურსკის ოლქის მშრომელებმა ამხანაგ სტალინს უძღვნეს ოსტატი ქალის მ. დ. ცელმანის მიერ შესანიშნავად ამოქარგული სურათი „დევგმირები“, რომელიც გაკეთებულია რუსი მხატვრის ვასნეცოვის ცნობილი ნაწარმოების მიხედვით. ამ ჭეშმარიტად უნიკალურ მხატვრულ სურათს მ. დ. ცელმანი ორი წლის განმავლობაში ჰქმნიდა. სურათს ქვეშ აწერია: „დიდი ერთგულებისა და სიყვარულის ნიშნად დიდ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს კურსკის ოლქის მშრომელთაგან“.

* * *

ამხანაგ სტალინის განკარგულებით დმიტროვის ქარხნის საიუბილეო ვაზა და მ. დ. ცელმანის სურათი—ნაქარგი გადაეცემა ტრეტიაკოვსკის გალერიას, ხოლო სამუშაო კაბინეტის მოწყობილობა, რაც გაკეთებულია გუცული ოსტატების მიერ, და ი. ბ. სტალინის მოზაიკური პორტრეტი, გაკეთებული კოლმეურნე ი. ა. კუზნეცოვის მიერ, — რევოლუციის მუზეუმს. (საკდესი).

საქართველოს მუშები, გლეხები, ინტელიგენცია დიდი ერთსულოვნებით ასახელებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში ჩვენი სამშობლოს სახელოვან ადამიანებს

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი
ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა
ივანე დავითის-ძე ლუარსაბოვი
თამარ როსტომის ასული გაგნიძე

გუშინ თბილისის საორთქლმავლო დეპოში შესდგა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი.

კრება გახსნა დეპოს ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. პატარქალაშვილმა.

სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა დეპოს პარტბიუროს მდივანს ამხ. ი. ლუარსაბოვს.

— ამხანაგებო,—სთქვა მან,—მე მინდა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელო ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი შვილი, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.

ამხ. ლუარსაბოვის სიტყვებს ერთსულოვანი ტაში ჰფარავს.

ამხანაგ ჟდანოვს საბჭოთა კავშირის მშრომელები იცნობენ, როგორც შეუდრეკელ და პრინციპულ ბოლშევიკს, როგორც გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს. დარწმუნებული ვარ წინადადებას—საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ჟდანოვის წამოყენების შესახებ მთელი ჩვენი კოლექტივი მხურვალედ დაუჭერს მხარს.

სიტყვა აიღო დეპოს კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. კიკაჩეიშვილმა.

— ამხანაგი ჟდანოვი,—სთქვა მან, — მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციებს. ომის მძიმე დღეებში იგი რაზმავდა ლენინგრადის მშრომელებს მტრის გასანადგურებლად. ამხანაგ ჟდანოვის სახელთან დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აკვანის — ლენინის ქალაქის აყვავება. მას კარგად იცნობს ჩვენი სამშობლოს მრავალმილიონიანი ახალგაზრდობა. მხურვალედ ვუჭერ მხარს წინადადებას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ჟდანოვის წამოყენების შესახებ.

ამხ. ლუარსაბოვის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი აგრეთვე სტახანოველმა მექვაბემ პ. ივანოვმა, მემანქანე დ. ჭარბაძემ და საკომპლექსო ბრიგადის ხელმძღვანელმა ბ. ტურიაშვილმა.

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ა. ა. ჟდანოვი წამოაყენოს ქალაქ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და სთხოვა მას დათანხმდეს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 54 საარჩევნო ოლქში.

სიტყვა ეძლევა მემანქანე ინსტრუქტორს ამხ. გ. მელქაძეს. მას წინადადება შეაქვს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 59 საარჩევნო ოლქიდან დასახელებულ იქნას ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბ. გოგუა.

ამხ. მელქაძის წინადადებას, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ვ. ბ. გოგუას წამოყენების შესახებ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ხარატმა ს. სანაძემ, მექვაბე ა. დემეტრაშვილმა, მემანქანე ნ. გვენეტაძემ. კრებამ მიიღო დადგენილება წამოყენებულ იქნას ამხ. ვ. გოგუა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და სთხოვა მას დათანხმდეს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 59 საარჩევნო ოლქში.

შემდეგ კრების მონაწილეებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 58 საარჩევნო ოლქში ერთხმად დაასახელეს დეპოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. ლუარსაბოვი, ხოლო ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 10 საარჩევნო ოლქში — საორთქლმავლო დეპოს უფროსის მოადგილე ამხ. თამარ გაგნიძე.

წინასაარჩევნო კრებამ აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

მიხეილ ივანეს-ძე ბარამია

გუშინ, 4 დეკემბერს შესდგა საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელდროშოვანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. გ. ურუშაძემ.

სიტყვა ეძლევა ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანს ამხ. გ. ჩაგელიშვილს.

— დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის,—სთქვა მან,—რათა დავასახელოთ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის ჩვენი კანდიდატი. წინადადება შემომაქვს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამია.

ამხ. ბარამიას კანდიდატურის დასახელებას კრების მონაწილენი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

— საქართველოს სს რესპუბლიკისა და, კერძოდ, ჩვენი რაიონის მშრომელები,—ამბობს დოცენტი ნ. ლაჭყებიანი,—კარგად იცნობენ მიხეილ ივანეს-ძე ბარამიას როგორც ნიჭიერ ორგანიზატორსა და გულისხმიერ ადამიანს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იგი გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას. ამიტომ მხურვალედ ვუჭერ მხარს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ბარამიას დასახელებას.

პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე პროფესორმა ლ. კალანდაძემ და პროფესორმა ყანჩაველმა, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ბარამიას დასახელებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი.

კრებამ ერთხმად დაადგინა: ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამია წამოყენებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ეთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების ორჯონიკიძის რაიონის № 379 საარჩევნო ოლქში.

კრებამ ნდობით აღჭურვილ პირად აირჩია პროფესორი სიმონ ალექსის-ძე ქარუმიძე.

თბილისის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი

4 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში შესდგა თბილისის მაუდის ფაბრიკის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრება.

ფაბრიკა არჩევნებს თვალსაჩინო საწარმოო გამარჯვებებით ხვდება: 1947 წლის გეგმა მან ვადამდე, 7 ნოემბერს შეასრულა. ახლა იგი პროდუქციას ხუთწლედის მესამე წლის გეგმის ანგარიშში იძლევა.

„ოთხ წელიწადში შევასრულოთ ხუთწლედი!“—ეს სიტყვები გახდა საბრძოლო დევიზი მთელი კოლექტივისა, რომელიც ჩაება საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

წინასაარჩევნო კრება გახსნა საამქროს უფროსმა ამხ. ს. ნოვიკმა.

სიტყვა ეძლევა ინჟინერ ს. ამაშუკელს.

— ამხანაგებო,—ამბობს იგი,—დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ დავასახელოთ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი თბილისის სტალინის რაიონის № 112 საარჩევნო ოლქში.

წინადადება შემომაქვს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი.

საქართველომ დიდი წარმატებანი მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში. ამ წარმატებათა მოპოვებაში თვალსაჩინოა ამხ. ჩხუბიანიშვილის დამსახურება. მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ ჩემს წინადადებას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ჩხუბიანიშვილის დასახელების შესახებ.

სიტყვას იღებს ფაბრიკის სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. თ. ბერიძე.

— დიდი სიხარულით ვუერთდები ამხ. ამაშუკელის წინადადებას მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის დასახელების შესახებ. ჩვენ ამხ. ჩხუბიანიშვილს ვიცნობთ, როგორც ხალხის საუკეთესო შვილს, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისათვის თავდადებულ მუშაკს.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება: მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილის დასახელების შესახებ და სთხოვა მას დათანხმდეს კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე სტალინის რაიონის № 112 საარჩევნო ოლქში.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა

გიორგი თევდორეს-ძე სტურუა
ნადია ალექსის ასული ოდიშვილი

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კლუბში შეიკრიბნენ სტახანოველი მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები. წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისადმი, მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ე. ლავთაძემ.

სიტყვას იღებს ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. ა. სიამაშვილი.

— წინადადება შემომაქვს — აცხადებს იგი,—მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი კოლექტივისაგან დავასახელოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი თევდორეს-ძე სტურუა. ძველი ბოლშევიკის ამხ. გიორგი სტურუას პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის განვლილ გზას კარგად იცნობს ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი. ამხ. სტურუა მთელ თავის ენერგიას ახმარს მშრომელი ხალხის სამსახურს.

სამღებრო საამქროს უფროსი ამხ. თ. ურუშაძე მხურვალედ უჭერს მხარს ა. სიამაშვილის წინადადებას და მოუწოდებს მუშებს ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის ამხ. გ. თ. სტურუას დასახელებას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 336 საარჩევნო ოლქში მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გიორგი თევდორეს-ძე სტურუა და სთხოვა მას დასთანხმდეს კენჭი იყაროს აღნიშნულ საარჩევნო ოლქში.

სიტყვას იღებს საქსოვი საამქროს ქვეოსტატი ამხ. დ. ალიბეგაშვილი. საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად იგი ასახელებს საქსოვი საამქროს მესამე კომპლექტის სტახანოველ მქსოველს უპარტიო მუშას ნადია ალექსის ასულ ოდიშვილს. სტახანოველი გ. რაჭველიშვილი ნ. ოდიშვილს ახასიათებს როგორც კარგ საზოგადოებრივ მუშაკს და მუყაით მშრომელს, რომელიც გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს.

ამხ. ნ. ოდიშვილის კანდიდატურას მხარს უჭერენ აგრეთვე საპრეპარაციო საამქროს განყოფილების უფროსი პ. ხომიაძე, სტახანოველი მქსოველები ციცქიშვილი და ალექსანდროვა.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ამხ. ოდიშვილის წამოყენებისა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 340 საარჩევნო ოლქში.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის (თბილისი) მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრება. სიტყვას ამბობს ინჟინერი ქ. შელია.

ფოტო რ. აკოფოვისა და ელ. გინზბურგისა.

წინასაარჩევნო კრებები რაიონებში

მახარაძე

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ნიშნით ტარდება რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებები.

მახარაძის ჩაის ფაბრიკაში წინასაარჩევნო კრებას ექვსასზე მეტი მშრომელი დაესწრო. სიტყვა აიღო ძაფსაგრეხი საამქროს უფროსმა ლუბა შარაშიძემ, რომელმაც აღნიშნა:

— მახარაძის რაიონი მეხუთე წელია სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ იმარჯვებს. მას ხელთ უპყრია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს წარმატება მოპოვებულია მშრომელთა თავდადებული შრომით, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. წინადადება შემომაქვს რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვასილ ვლადიმერის-ძე სიხარულიძე.

ლ. შარაშიძის წინადადებას მხარ დაუჭირეს ლენინის ორდენოსანმა სტახანოველმა ციალა ღლონტმა, ინჟინერმა გიორგი გოგავამ. კრებამ დაადგინ ვ. ვ. სიხარულიძე წამოყენებულ იქნა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 47 საარჩევნო ოლქში.

სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მრავალ რიცხოვან კრებებზე რაიონული საბჭო დეპუტატობის კანდიდატად ერთსუ ლოვნად წამოაყენეს ამავე კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვასილ ბესარიონის-ძე ჯაბუა და ჩაის უ ვი მოსავლის ოსტატი დარეჯან საბა ასული ტაკიძე.

ქალაქის პოლიკლინიკის მუშა-მო სამსახურეთა კრებამ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასა ხელა საქართველოს სს რესპუბლიკ დამსახურებული ექიმი უპარტიო ბოლ შევიკი კლიმენტი გიორგის-ძე ას თიანი.

ვ. ლოლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სამტრედია

სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს სამასზე მეტი მუშა-მოსამსახურე შეიკრიბა წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას. კრება გახსნა დეპოს ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. შ. კრავეიშვილმა.

პირველი სიტყვა აიღო ინჟინერმა ე. წილოსანმა. მან მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა უპარტიო სტახანოველი ზეინკალი ვალერიან ერმილეს-ძე ტორონჯაძე, რომელიც დეპოს მუშაკთა კოლექტივში პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს.

ვ. ტორონჯაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს დეპოს უფროსმა ი. კვანტრიშვილმა, ზეინკალმა ვ. თელიამ, გარეცხვითი შეკეთების საამქროს ოსტატმა პ. ტონიამ, ინჟინერმა ვ. ფოცხიშვილმა და სხვებმა.

კრებამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვ. ტორონჯაძის წამოყენების შესახებ.

რაიონის მშრომელთა მიერ სამტრე დიის რაიონული საბჭოს დეპუტატო ბის კანდიდატებად დასახელებულ შორის არიან: საკონსერვო კომბინატ სტახანოველი მუშა ელენე ნიკოლოზ ასული ვაშაკიძე, რკინიგზის ქალ საშუალო სკოლის დირექტორი შუშა ამბაკოს ასული ქართველიშვილი, ს ქართველოს ჩაის ტრესტის სამტრედ ის მექანიკური ქარხნის ზეინკალი კო კავშირელი მიხეილ გიორგის-ძე კა ძე, სამტრედიის ლენინის სახელობ კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალ ამბაკოს-ძე ჯანელიძე, ქალაქის პოლ კლინიკის ექიმი ზინაიდა ბართლომ ასული ფოცხვერია, სოფელ ღანირ კოლმეურნე, ძველი ბოლშევიკი ალ სი დიანოსის-ძე ბარამიძე, საბჭოთ კავშირის გმირი არკადი სპირიდონის- გეგეშიძე, სოფელ სანავარდოს კოლმ ურნეობა „განთიადის“ გამგეობის თა მჯდომარე თამარ მიხეილის ასუ თავაძე, ძაფსალეზი ფაბრიკის მუშა ნ ნო ნიკოლოზის ასული ფოჩხუა სხვები.

ვ. კოპალეიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენ

ყვარელი

სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვა აიღო სტახანოველმა კოლმეურნემ ნ. დელექსიშვილმა. მან ილაპარაკა კოლმეურნეობის წარმატებებზე, ამ წარმატებათა ერთერთ ორგანიზატორზე, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვასილ ალექსის-ძე ცისკარიშვილზე და იგი დაასახელა მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამხ. ცისკარიშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებმა ნ. ბერიაშვილმა, ა. ახალკაციშვილმა და სხვებმა.

კრებამ მიიღო დადგენილება—ეთხოვოს ამხ. ცისკარიშვილს თანხმობა კენჭი იყაროს ყვარლის რაიონული საბჭოს დეპუტატობაზე სოფელ შილდის № 1 საარჩევნო ოლქში.

სოფელ ყვარლის კოლმეურნეობ „გამარჯვების“ წევრთა საერთო კრ ბამ მშრომელთა დეპუტატების ყვა ლის რაიონულ საბჭოს დეპუტატობ კანდიდატად ერთსულოვნად დაასახ ლა საქართველოს კ. პ. (ბ) ყვარლ რაიკომის პირველი მდივანი ამხ. მიხ ილ დავითის-ძე ციხისთავი.

ახალსოფლის მახარაძის სახელობ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრ ბამ რაიონული საბჭოს დეპუტატობ კანდიდატად დაასახელა ამავე კოლმ ურნეობის გამგეობის თავმჯდომა ამხ. კარპეზ სიმონის-ძე შეყელაძე.

კ. იარალოვი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტ

ახალციხე

სოფელ აწყურის სტალინის სახელობის საკოლმეურნეო კლუბში 800-ზე მეტი ამომრჩეველი შეიკრიბა. წინასაარჩევნო კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ვ. ჯაყელმა.

სიტყვას იღებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოწინავე მერგოლური ე. მუმლაძე.

— ამხანაგებო,—ამბობს იგი,—ჩვენი დღევანდელი კრების მიზანია დავასახელოთ მშრომელთა დეპუტატების ახალციხის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი. წინადადება შემომაქვს მშრომელთა დეპუტატების ახალციხის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ალექსანდრე წიქარიშვილი.

ამხ. ა. წიქარიშვილის კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. გაჩეჩილაძემ, კოლმეურნეობის აგრონომმა მ. ბალახაძემ, ახალგაზრ ამომრჩეველმა თ. თოდაძემ და კოლმ ურნე ა. გასიტაშვილმა.

წინასაარჩევნო კრებამ ამხ. ა. წიქ რიშვილს სთხოვა აწყურის საარჩევ ოლქში კენჭისყრის თანხმობა. ნდობ აღჭურვილ პირად არჩეულ იქნა დემ ბილიზებული, ორგზის ორდენოსან კომუნისტი ამხ. ვ. ლაბაძე.

საზეიმო ვითარებაში ჩატარდა წინ საარჩევნო კრება სოფელ ანში. მშრომელთა დეპუტატების ახალციხ რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატ დაასახელეს ელიაწმინდის სასოფლ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამ ივანე კაპანაძე. კრებამ ნდობით აღ ჭურვილ პირად აირჩია მასწავლებე ამხ. ნ. კაპანაძე.

დიდი პოლიტიკური აქტივობით ჩა ტარდა წინასაარჩევნო კრებები სოფე ვალეს, აგარის, ურავლის, წინუბნ საძელისა და სხვა კოლმეურნეობებში.

ნ. ფარჯანაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტ

დმანისი

სოფელ ბოსლების ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ მშრომელთა დეპუტატების დმანისის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენა საქართველოს კ. პ. (ბ) დმანისის რაიკომის მდივანი ამხ. ივანე ლუარსაბის-ძე დვალი.

კრებამ დაადგინა ეთხოვოს ამხ. დვალს თანხმობა მშრომელთა დეპუტატების დმანისის რაიონული საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს № 20 საარჩევნო ოლქში.

სოფელ ირგანჩაის კოლმეურნეობის საერთო კრებამ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამავე კოლმეურნეობის სტახანოველი მწველავი ქალი აიშე ფატმა ამირკზი. მის კანდიდატურას მხარი დაუჭირ ბაბა-გალით-ოღლიმ და სხვებმა.

დეპუტატობის კანდიდატთა წამოყ ნებისადმი მიძღვნილი კრებები ჩატა და აგრეთვე სოფელ დიდი გომარეთ კოლმეურნეობა „წითელ თრიალეთში“ კოლმეურნე ა. ქართველიშვილმა დე პუტატობის კანდიდატად დაასახე ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარ მურმან ალექსის-ძე მუჯირი. წამოყ ნებულ კანდიდატურას კრებამ ერ სულოვნად დაუჭირა მხარი.

წინასაარჩევნო კრებები უდიდე პოლიტიკური აქტივობით მიმდინარე ობს.

დ. კომახიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტ

საბჭოთა კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა მსოფლიოში

ნ. რიჩკოვი

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი

I

1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობამ ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების შემდეგ ერთხმად დაამტკიცა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონი. სსრ კავშირის კონსტიტუცია, რომელსაც მისი შემოქმედის სახელის მიხედვით ხალხმა სტალინური კონსტიტუცია უწოდა, ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტია, სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებათა ქარტიაა.

საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინური გეგმა, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, მსხვილი, მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

სსრ კავშირის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა საერთო შედეგი, რამაც გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ამხანაგმა სტალინმა შემდეგი სიტყვებით ჩამოაყალიბა.

„ამრიგად, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური სისტემის სრული გამარჯვება ახლა ფაქტს წარმოადგენს.

ხოლო ეს რას ნიშნავს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილია, ლიკვიდირებულია, ხოლო წარმოების იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგში ყველა ამ ცვლილების შედეგად ჩვენ ახლა გვაქვს ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, არ იცის გაღატაკება და გაჩანაგება და რომელიც აძლევს მოქალაქეებს ყოველგვარ საშუალებას შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის". (ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 634).

ეკონომიკის დარგში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით შეიცვალა მთელი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. ჩვენში აღარ არიან ანტაგონისტური კლასები. საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება შესდგება ერთმანეთისადმი მეგობრულად განწყობილი ორი კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან. მუშებთან და გლეხებთან ერთად, როგორც საბჭოთა საზოგადოების სწორუფლებიანი წევრი, სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობს საბჭოთა ინტელიგენცია.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად ლიკვიდირებულია მტრობისა და უნდობლობის ყველა ნაშთი ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის, უზრუნველყოფილია წინათ ჩამორჩენილი ხალხების უმაგალითო სამეურნეო ზრდა, მიღწეულია ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური მათი კულტურის აყვავება. სსრ კავშირის ყველა ხალხი მჭიდროდ დარაზმულია ძმური თანამშრომლობის საფუძველზე. რევოლუციის ამ დიად მონაპოვართა საფუძველზე გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, რაც უმაგალითოა მსოფლიოში და რამაც განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში.

ჩვენს ქვეყანაში განუხრელად იზრდებოდა მშრომელთა საარსებო დონე. „ომი რომ არ ყოფილიყო,—სთქვა ამხანაგმა მოლოტოვმა 1947 წლის 6 ნოემბრის მოხსენებაში, — ჩვენი ქალაქები და სამრეწველო რაიონები დღეს ცხადყოფდნენ უდიდეს, უმაგალითო მიღწევებს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესების საქმეში... ომი რომ არ ყოფილიყო, რამაც გაანადგურა სოფლის მეურნეობის ბევრი საუკეთესო რაიონი, ჩვენ უკვე დღეს უზრუნველყოფილი ვიქნებოდით ყოველივე იმით, რაც საჭიროა, გაცილებით უკეთ, ვიდრე რომელიმე ქვეყანა ევროპაში, და არა მარტო ევროპაში".

II

სტალინური კონსტიტუცია ნამდვილი, სოციალისტური დემოკრატიზმის განსახიერებაა.

ბურჟუაზიული დემოკრატიის ყოველი ფორმა ბურჟუაზიის, ექსპლოატატორული კლასების ბატონობაა, ე. ი. ხალხის უმრავლესობაზე უმცირესობის ბატონობაა.

1919 წლის 11 ივლისს სვერდლოვის უნივერსიტეტში სახელმწიფოს შესახებ წაკითხულ თავის ლექციაში ვ. ი. ლენინმა სთქვა: „სახელმწიფოს ბატონობის ფორმა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, კაპიტალი ერთი სახით იჩენს თავის ძალას იქ, სადაც ერთი ფორმაა, და სხვა სახით იქ, სადაც სხვა ფორმაა, მაგრამ არსებითად ძალაუფლება კაპიტალის ხელში რჩება: უფლება საცენზოა თუ სხვა, რესპუბლიკა დემოკრატიულია თუ არა და ამასთან რაც უფრო დემოკრატიულია იგი, მით უფრო უხეში, უფრო ცინიკურია კაპიტალიზმის ეს ბატონობა. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული რესპუბლიკაა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები — და არსად ისე, როგორც ამ ქვეყანაში (ვინც იქ ყოფილა 1905 წლის შემდეგ, მას უთუოდ ექნება წარმოდგენა ამის შესახებ), არსად კაპიტალის ძალაუფლება, ერთი მუჭა მილიარდერების ძალაუფლება მთელ საზოგადოებაზე არ მჟღავნდება ისე უხეშად, ისეთი აშკარა მოსყიდვით, როგორც ამერიკაში. კაპიტალი, რადგან იგი არსებობს, ბატონობს მთელ საზოგადოებაზე, და არავითარი დემოკრატიული რესპუბლიკა, არავითარი საარჩევნო უფლება საქმის არსს არა სცვლის".

რა უაღრესად სწორია ვ. ი. ლენინის ეს ანალიზი, ამას გვიჩვენებს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი პოლიტიკური ვითარება. იქ საყოველთაო საარჩევნო უფლების, სიტყვის თავისუფლების, პრესის თავისუფლების და სხვა დემოკრატიული ლოზუნგების საფარქვეშ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამოქალაქო თავისუფლებათა ლიკვიდაცია. ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ცნობილია, სწარმოებს შეტევა პროფკავშირთა უფლებებზე, ზღუდავენ გაფიცვათა უფლებას, სდევნიან კომუნისტებს და ყველა სხვა ნამდვილად დემოკრატიულ, პროგრესულ ელემენტებს. ამ ქვეყანაში კაპიტალისტი მესვეურები და მათი ლაქიები ახლა ეწევიან იმპერიალისტური ექსპანსიისა და ომის თავშეუკავებელ პროპაგანდას.

ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, მთელი ძალაუფლება არა სიტყვით, არამედ საქმით „ეკუთვნით ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით" (სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-3 მუხლი). „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ" (სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-2 მუხლი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უდიდეს უმრავლესობას მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები შეადგენენ. ეს არის ხელისუფლების ჭეშმარიტად სახალხო ორგანო, როგორიც არ არის ბურჟუაზიული დემოკრატიის არცერთ ქვეყანაში. ადგილობრივი საბჭოები წარმოადგენენ მასობრივ ორგანიზაციებს, რომელთა მუშაობაში მონაწილეობენ მილიონობით მშრომელები.

ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ბურჟუაზიული პარლამენტებისა და მთავრობებისაგან განსხვავებით, არ არის ხალხს მოწყვეტილი ხელისუფლება. პირიქით, იგი, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, არის ერთადერთი ნამდვილი ხელისუფლება, რომელიც ხალხის მასებიდან არის გამოსული, ხალხის მასებისათვის მშობლიური და მახლობელია.

საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმის არსი განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს ჩვენს საარჩევნო სისტემაში, რომელიც ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში. ჩვენს ქვეყანაში, კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ყველა მოქალაქისათვის, დამოუკიდებლად რასიული და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, არსებობს კონსტიტუციით დაწესებული საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება, რაც არაფრით არ არის შეკვეცილი. ეს უფლება არა აქვთ მხოლოდ შეშლილებსა და იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით. ქალები სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნან მამაკაცების თანაბრად. საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი მოქალაქენი სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნან ყველა მოქალაქის თანაბრად.

დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია, კენჭისყრა არჩევნების დროს — ფარული.

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს ეროვნებათა სრული და ნამდვილი თანასწორუფლებიანობა. სსრ კავშირის ყველა, როგორც დიდი, ისე მცირე, ხალხები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ სამეურნეო, სახელმწიფოებრივი, კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში. სსრ კავშირის კონსტიტუციის 123-ე მუხლით დაწესებულია, რომ მოქალაქეთა უფლების რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან, პირიქით, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის დაწესება მათი რასიული და ნაციონალური კუთვნილების მიხედვით, აგრეთვე რასიული ან ნაციონალური განკერძოებულობის, ან სიძულვილისა და ქედმაღლობის ყოველგვარი ქადაგება — ისჯება კანონით. ხალხის კონსტიტუციურ უფლებათა ასეთი თანმიმდევრული დაცვა არ არის არცერთ სხვა ქვეყანაში.

სსრ კავშირში მთლიანად ხორციელდება ეროვნებათა თვითგამორკვევის პრინციპი. ეს თავის გამოხატულებას პოულობს იმით, რომ საბჭოთა წყობილება ყველა ხალხისათვის უზრუნველჰყოფს მათს სახელმწიფოებრიობას მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების შექმნის ფორმით. ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას შენარჩუნებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლება.

აღნაგობა სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი, რომელიც შესდგება ორი თანასწორუფლებიანი პალატისაგან: კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან, გამორიცხავს ცალკე ეროვნებათა ინტერესების რაიმე ჩახშობის შესაძლებლობას.

ასე, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სულისკვეთებით გადაწყვეტილია ნაციონალური საკითხი მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოში.

არანაკლებ რადიკალურად გადაწყვეტილია ქალის უფლებათა საკითხიც. სტალინური კონსტიტუცია ქალისათვის უზრუნველჰყოფს მამაკაცის თანაბარ უფლებებს სახელმწიფოებრივი, სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

ქალების მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ახასიათებს ის, რომ 456 ათასი ქალი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია, 1.700 ქალი — უმაღლესი საბჭოების დეპუტატი. ჩვენში, სსრ კავშირში 33 ათასი ქალი ეწევა მეცნიერულ მუშაობას, 100 ათასი ქალი ექიმია, 250 ათასი—ინჟინერი და ტექნიკოსი, 750 ათასი — მასწავლებელი.

სტალინური კონსტიტუცია მოქალაქეებს ანიჭებს მათთვის უმნიშვნელოვანეს უფლებას — შრომის უფლებას, რომელიც უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების მწარმოებელი ძალების განუხრელი ზრდით, სამეურნეო კრიზისების შესაძლებლობის მოსპობითა და უმუშევრობის ლიკვიდაციით. ასეთ უფლებას თავისი მოქალაქეებისათვის ვერ უზრუნველჰყოფს ვერცერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო.

სსრ კავშირის კონსტიტუცია მოქალაქეებისათვის უზრუნველჰყოფს აგრეთვე დასვენების უფლებას, მოხუცებულობაში, ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებას, განათლების უფლებას. სსრ კავშირის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია პიროვნების ხელშეუხებლობა, ბინის ხელშეუხებლობა, მიწერ-მოწერის საიდუმლოება.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, რომლებიც ჩვეულებრივად სჯერდებიან მოქალაქეთა ფორმალური უფლებების ფიქსაციას და არ ზრუნავენ მათი განხორციელებისათვის, სტალინური კონსტიტუცია არა მარტო აღიარებს უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ კიდევაც უზრუნველჰყოფს მათს განხორციელებას.

* * *

წელს მშრომელები სტალინური კონსტიტუციის დღესასწაულს ეგებებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პირობებში. არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, რომლის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ლენინგრადელთა ინიციატივით ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიამ სოციალისტური ეკონომიკის ძალაზე დამყარებით, მილიონობით საბჭოთა პატრიოტების შთაგონებულ შრომაზე დამყარებით გიგანტური მუშაობა გააჩაღა ჩვენი ქვეყნის მეურნეობისა და კულტურის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარების სტალინური პროგრამის განსახორციელებლად. ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა 1947 წლის 6 ნოემბრის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ჩვენი მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ უკვე მიაღწია 1940 წლის საშუალო თვიურ გამოშვებას, ხოლო სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს წელს დაახლოებით იმდენ პურს მისცემს, რამდენსაც იგი საუკეთესო ომამდელ წლებში იღებდა.

საბჭოთა სახელმწიფოს მზარდ ძლიერებაში, სოციალისტური მშენებლობის სწრაფ ტემპებში, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის გიგანტურ გაქანებაში, საბჭოთა პატრიოტიზმის უდიდეს აღმავლობაში ჩვენი კონსტიტუციის დიადი პრინციპების გამარჯვებას ვხედავთ.

სტალინური კონსტიტუციის დროშით საბჭოთა ხალხი მივა არჩევნებზე და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში ერთსულოვნად წარგზავნის ხალხის ერთგულ შვილებს, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის წარმომადგენლებს.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა მიაღწია სოციალიზმის გამარჯვებას, გამარჯვებული გამოვიდა დიდი სამამულო ომის მძიმე განსაცდელიდან და წარმატებით ახორციელებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარების გრანდიოზულ პროგრამას. ბოლშევიკურ პარტიას, დიდ სტალინს ხალხი მიჰყავთ ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიაზე

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საქდეპის სპეც. კორ.). საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ჯ. მარშალის თავმჯდომარეობით გრძელდებოდა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის საკითხის განხილვა.

მინისტრთა საბჭოს მუდმივი კომიტეტების შემადგენლობისა და მუშაობის შესახებ

ფართოდ იქნა განხილული საკითხი მინისტრების საბჭოს მუდმივი კომიტეტების შემადგენლობის შესახებ, რომლებიც სამუშაო ორგანოები უნდა იყონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად. მოსკოვის სესიაზე მინისტრების საბჭომ გადაწყვიტა შექმნას ოთხი ასეთი კომიტეტი: გერმანიის პოლიტიკური და კონსტიტუციური სტრუქტურის კომიტეტი, ტერიტორიული ცვლილებებისა და ამასთან დაკავშირებული საკითხების კომიტეტი, გერმანიის ეკონომიური ორგანიზაციის და რეპარაციების კომიტეტი, განიარაღებისა და დემილიტარიზაციის კომიტეტი. რაც შეეხება ამ კომიტეტების შემადგენლობას, ამ საკითხზე შეთანხმება მიღწეული არ ყოფილა, ამასთან თვითეული დელეგაცია თავისი განსაკუთრებული წინადადებით გამოვიდა.

საბჭოთა დელეგაციამ, პოტსდამის გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გერმანიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების მომზადება ეკისრება კაპიტულაციის პირობების ხელმომწერ ქვეყნებს, ე. ი. სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესიაზე წინადადება შეიტანა, რომ მუდმივი კომიტეტები საბჭოს წევრი ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან შესდგებოდნენ. საბჭოთა წინადადებას უახლოვდებოდა საფრანგეთის დელეგაციის წინადადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „მუდმივი კომიტეტები შედგენილი იქნება საბჭოს წევრ ოთხ სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან, ისინი მოიწვევენ განსახილველი პრობლემებით დაინტერესებულ მოკავშირე სახელმწიფოებს ამ პრობლემების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად".

სულ სხვა პოზიცია დაიკავეს მინისტრების საბჭოს ჯერ კიდევ მოსკოვის სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციებმა. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია რჩევას იძლეოდა, რომ კომიტეტები შედგენილი ყოფილიყო საბჭოს წევრი ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან და გერმანიის იმ მეზობელ და სხვა „მოკავშირე სახელმწიფოთაგან გამოყოფილ წარმომადგენელთა მოსახერხებელი რიცხვისაგან", რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. დიდი ბრიტანეთის დელეგაცია წინადადებას იძლეოდა კიდევ უფრო შორს წასულიყვნენ საზავო ხელშეკრულების პროექტის მომზადების მონაწილეთა შემადგენლობის გაფართოების გზით. იგი წინადადებას იძლეოდა, რომ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა გარდა კომიტეტების შემადგენლობაში შესულიყვნენ იმ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები, „რომლებმაც შეიძლება ისურვონ წარმოდგენილი იყვნენ ამ კომიტეტებში".

ამერიკისა და ბრიტანეთის დელეგაციების ამ წინადადებათა მიღებას, რომლებიც პოტსდამის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებოდნენ, შეეძლო გამოეწვია ის, რომ კომიტეტები გადაიქცეოდნენ წინასწარი საზავო კონფერენციების მსგავს რამედ, რომლებიც თავიანთი მრავალრიცხოვნობის გამო სრულიად გამოუსადეგარი იქნებოდნენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის შესადგენად წარმოებულ საქმიან მუშაობაში. ეს წინადადებანი აშკარად ისახავენ მიზნად — გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება ისე მოეწყოს, რომ გარკვეულ სახელმწიფოებს შესაძლებლობა ჰქონდეთ კომიტეტების ამა თუ იმ შემადგენლობის შერჩევის გზით ზეგავლენა მოახდინონ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე, რომელიც პასუხისმგებელია საზავო ხელშეკრულების შემუშავებისათვის.

დღევანდელ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი თანახმაა მიღებულ იქნას საფრანგეთის ფორმულირება მინისტრების საბჭოს მუდმივი კომიტეტების შემადგენლობის შესახებ.

მაგრამ ბევინი და მარშალი დაჟინებით იცავდნენ თავიანთ უწინდელ წინადადებებს.

მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია საფრანგეთის წინადადებას სწორად სთვლის უკვე იმიტომ, რომ მინისტრების საბჭოში დამკვიდრდა გარკვეული პრაქტიკა, რამაც გაამართლა თავისი დანიშნულება და რაც იმაში მდგომარეობს, რომ ძირითად საკითხებს ამზადებენ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან შექმნილი კომიტეტები. საფრანგეთის წინადადება ამ ძირითად დებულებაზეა დამყარებული. მეორე მხრივ, ეს წინადადება მხედველობაში იღებს საზავო ხელშეკრულების მომზადების მთელ მექანიზმს.

— აქ უკვე ნათქვამი იყო, — შენიშნა მოლოტოვმა, — რომ საზავო ხელშეკრულების მომზადების მექანიზმი შესდგება ორი ძირითადი ნაწილისაგან — კომიტეტებისა და ქვეკომიტეტებისაგან. გარდა ამისა, ამ მექანიზმში ჩვენ შევიტანეთ საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირი, რომელშიც თანაბარი პირობებით მონაწილეობას მიიღებს ყველა სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია საზავო ხელშეკრულების მომზადებით. ამრიგად, ეს მექანიზმი ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოსათვის უზრუნველჰყოფს შესაძლებლობას, რომ მას მოუსმინონ საზავო ხელშეკრულების მომზადების ყველა სტადიაში, ამავე დროს საზავო ხელშეკრულების მომზადების ეს მექანიზმი საკმაოდ მოქნილი იქნება, მეორე მხრივ, იგი მარტივია და ამიტომ არ დააბრკოლებს მუშაობას. იმისათვის, რომ საზავო ხელშეკრულების მომზადება არ ბრკოლდებოდეს, რომ არ იყოს შეფერხება და მუშაობის გაჭიანურება, მე ვფიქრობ, ჩვენ შეგვეძლო დავთანხმებოდით საფრანგეთის დელეგაციის წინადადებას კომიტეტების შემადგენლობის შესახებ.

მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ქვეკომიტეტების შემადგენლობა საჭიროა ცალკე იქნას განხილული, რამდენადაც ამ საკითხის გამო სხვადასხვა წინადადებაა შემოსული.

ვინაიდან მარშალი და ბევინი განაგრძობდნენ თავიანთი წინადადებების დაცვას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პოტსდამის გადაწყვეტილებებს და შეუფერებელი არიან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის სწრაფად და წარმატებით მომზადებისათვის, მინისტრებმა ვერ შესძლეს მუდმივი კომიტეტების შემადგენლობის საკითხის გადაწყვეტა.

მინისტრები გადავიდნენ მინისტრების საბჭოს მუდმივი კომიტეტების მუშაობის საკითხზე. საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის ამ ნაწილში აზრთა ერთი სხვადასხვაობა რჩებოდა: ბრიტანეთის, ამერიკისა და საფრანგეთის დელეგაციებმა მინისტრების საბჭოს ჯერ კიდევ მოსკოვის სესიაზე შეიტანეს წინადადება, რომ კომიტეტების მოხსენებანი უნდა შეიცავდნენ იმ მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ წინადადებებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ განხილვაში. საბჭოთა დელეგაციას მაშინ არ გამოუთქვამს თავისი დამთანხმებულება ამ წინადადებისადმი. დღევანდელ სხდომაზე საბჭოთა დელეგაცია შეთანხმების მიღწევის მიზნით შეუერთდა ამ წინადადებას.

ამის შემდეგ ეს პუნქტი მთლიანად შეთანხმებულ იქნა.

მინისტრების საბჭოს ქვეკომიტეტების შემადგენლობის შესახებ

შემდეგ მინისტრებმა განიხილეს მინისტრების საბჭოს ქვეკომიტეტების შემადგენლობის საკითხი. წინათ გადაწყვეტილი იყო, რომ საბჭოს ოთხი მუდმივი კომიტეტიდან თვითეული, საჭიროების მიხედვით, შექმნიდა ქვეკომიტეტებს სპეციალური საკითხების შესასწავლად. საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლეოდა, რომ მათი შემადგენლობა მუდმივი კომიტეტების შემადგენლობის ანალოგიური ყოფილიყო. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგატები მოითხოვდნენ, რომ ქვეკომიტეტების წევრობა თვითეულ შემთხვევაში განესაზღვრათ მუდმივ კომიტეტებს, რომლებიც მათ წევრებად მოსახერხებელი რაოდენობით მიიწვევდნენ გერმანიის მეზობელ მოკავშირე სახელმწიფოებსა და სხვა მოკავშირე სახელმწიფოებს, რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში, იმ სახელმწიფოების ჩათვლით, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული განსახილველი საკითხებით.

დღევანდელ სხდომაზე მოლოტოვმა მინისტრებს გაახსენა, რომ საზავო ხელშეკრულების მომზადების მექანიზმი შეიცავს კომიტეტებს, ქვეკომიტეტებსა და საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირს, რომელშიც მონაწილეობს საზავო კონფერენციის ყველა მომავალი მონაწილე, და დააყენა საკითხი, თუ რამდენად აუცილებელია კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების შემადგენლობის გაფართოება. საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირის ფართო შემადგენლობის არსებობისას საბჭოთა წინადადებას აზრი აქვს საქმიანი თვალსაზრისით, სთქვა მოლოტოვმა, იგი შესაძლებლობას იძლევა ყოველ საკითხზე ჩატარდეს მოსამზადებელი მუშაობა ქვეკომიტეტებში, რომლებიც ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან შესდგებიან. ამასთან ერთად იგი შესაძლებლობას იძლევა, რომ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განსახილველი საკითხების შესახებ წარუდგინონ თავიანთი აზრი საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირს, სადაც ისინი ყველანი მონაწილეობენ.

ბევინისა და ჟუვ დე მიურვილის (საფრანგეთი) საწინააღმდეგო მოსაზრებათა გამო მოლოტოვის წინადადებით გადაწყდა ეს საკითხი დამატებით განსახილველად გადაეცეს მინისტრების მოადგილეთა თათბირს.

საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირის შემადგენლობის შესახებ

გაცხოველებული დისკუსია გამოიწვია მოკავშირე სახელმწიფოთა საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირის შემადგენლობის საკითხმა. ამ თათბირის ამოცანები ის უნდა იყოს, რომ რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია მოკავშირე სახელმწიფოებს მინისტრების საბჭოს მუშაობის შესახებ საზავო ხელშეკრულების მომზადების დარგში და კონსულტაცია გასწიოს მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან.

საბჭოთა დელეგაცია, მინისტრების საბჭოს ნიუ-იორკის სესიაზე 1946 წლის დეკემბერში ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საბჭოს მოსკოვის სესიაზე წინადადებას იძლეოდა საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირის შემადგენლობაში შეყვანილი ყოფილიყვნენ საბჭოს წევრი ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლები და გერმანიის მეზობელ მოკავშირე სახელმწიფოთა ან იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

მეორე მხრივ, ამერიკის დელეგაციამ, რომელიც ნიუ-იორკის სესიაზე დაეთანხმა ასეთ წინადადებას, მოსკოვის სესიის მსვლელობის დროს მოულოდნელად დაიწყო მოთხოვნა, რომ საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირის შემადგენლობაში შეყვანილი ყოფილიყო ყველა სახელმწიფო, რომლებმაც გერმანიას ომი გამოუცხადეს. ამით ამ თათბირის შემადგენლობა ისე გაფართოვდებოდა, რომ საზავო ხელშეკრულების მომზადებაში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემდა არა მარტო იმ ქვეყნებს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, არამედ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც ომის დროს განზე იდგნენ ან კიდევაც ეხმარებოდნენ ჰიტლერულ გერმანიას და მხოლოდ სულ უკანასკნელ მომენტში გადავიდნენ მოკავშირეთა მხარეზე.

დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციები მოსკოვში წინადადებას იძლეოდნენ ამ თათბირის შემადგენლობაში, გარდა იმ ქვეყნებისა, რომლებიც საბჭოთა წინადადებაში იყო აღნიშნული, შეყვანილი ყოფილიყო მხოლოდ ზოგიერთი სხვა ქვეყანა, და, ყოველ შემთხვევაში, ირანი, რაც აგრეთვე ნაწილობრივ გადახვევას წარმოადგენს ნიუ-იორკის გადაწყვეტილებისაგან. რაც შეეხება სხვა მოკავშირე სახელმწიფოებს, ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციები წინადადებას იძლეოდნენ, რომ ეს სახელმწიფოები ინფორმირებული ყოფილიყვნენ საბჭოს მუშაობის შესახებ, გადასცემოდათ მათ საბჭოს დოკუმენტაცია ხელშეკრულების მომზადების შესახებ იმ პირობით, რომ ამ სახელმწიფოებს უფლება ექნებათ წერილობითი ფორმით დააყენონ საკითხები ყველა პრობლემის შესახებ, რომლებიც მათთვის გადაცემულ დოკუმენტებშია განხილული.

დღევანდელ სხდომაზე მარშალი დაჟინებით მოითხოვდა მიღებული ყოფილიყო ამერიკის წინადადება, რომელიც შეტანილი იყო მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესიაზე.

მარშალმა განაცხადა, რომ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციებმა მოსკოვში თითქოს „ღიად დასტოვეს თავისი პოზიცია", და წინადადება მისცა მათ გამოეთქვათ აზრი ამ საკითხზე. მაგრამ ჟუვ დე მიურვილმა და ბევინმა განაცხადეს, რომ ისინი კვლავ იცავენ თავიანთ საკუთარ წინადადებებს.

ჟუვ დე მიურვილმა, კერძოდ, ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გამიჯნულ იქნას, თუ რომელი სახელმწიფოები [illegible] უფრო მნიშვნელოვნად რომ ომში და რომელი სახელმწიფოები ნაკლებ მონაწილეობდნენ მასში.

— ყველას როდი აქვს თანაბარი უფლებები, — სთქვა მან. — ზოგმა მეტი მონაწილეობა მიიღო ომში, ზოგმა — ნაკლები. არიან სახელმწიფოები, რომლებიც მოსამზადებელი საზავო ხელშეკრულებით განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან ან იმიტომ, რომ ისინი ბრძოლას ეწეოდნენ გერმანიის წინააღმდეგ ან გერმანიის მეზობლები არიან, ანდა იმიტომ, რომ ისინი გერმანიის მიერ იყვნენ ოკუპირებულნი.

მოლოტოვმა მინისტრებს ყურადღება მიაპყრობინა იმაზე, რომ განსახილველი საკითხი, არსებითად რომ ითქვას, უკვე გადაწყვეტილი იყო საბჭოს ნიუ-იორკის სესიაზე. ნიუ-იორკში გადაწყდა მინისტრების მოადგილეებს გერმანიის საკითხის გამო დავალება მისცემოდათ მოესმინათ გარკვეული ქვეყნების მთავრობათა თვალსაზრისი, სახელდობრ — გერმანიის მეზობელი მოკავშირე სახელმწიფოებისა და სხვა მოკავშირე სახელმწიფოებისა, რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში და რომლებსაც სურთ ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხედულებანი გერმანიის საკითხის შესახებ. ამრიგად, ზუსტად იყო დადგენილი, თუ რომელი სახელმწიფოები უნდა ყოფილიყვნენ მოზიდული გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ამ საკითხზე საკონსულტაციოდ. შეუთანხმებელი რჩებოდა მხოლოდ საკითხი კონსულტაციაში ალბანეთის მონაწილეობის შესახებ.

მოლოტოვმა გაახსენა, რომ მინისტრებმა შეათანხმეს საკითხი იმის შესახებ, რომ საკონსულტაციოდ მოზიდული ყოფილიყვნენ ავსტრალია, ბელგია, ბელორუსია, ბრაზილია, საბერძნეთი, დანია, ინდოეთი, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პაკისტანი, პოლონეთი, უკრაინა, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, სამხრეთ აფრიკის კავშირი. გარდა ამისა, კონსულტაციაში, ცხადია, მონაწილეობა უნდა მიიღო ხუთ დიდ სახელმწიფოს—სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს.

— მე გეკითხებით, — სთქვა მოლოტოვმა,— ძალაში რჩება ეს გადაწყვეტილება თუ გვინდა შევცვალოთ იგი? თუ იგი ძალაში რჩება, იგი უნდა დავიცვათ, თუ გვსურს შევცვალოთ იგი, სასურველი იქნება ვიცოდეთ მოტივები, რომელთა გამო გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს.

მოლოტოვმა შემდეგ გაახსენა მინისტრებს, რომ ჯერ კიდევ მოსკოვის, ისევე როგორც ახლანდელ, ლონდონის სესიაზე საბჭომ მიიღო პროცედურის 1, 2, 3 პუნქტები, რომლებშიც აღნიშნულია, სახელდობრ რომელი სახელმწიფოები უნდა იქნან მოზიდული გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე საკონსულტაციოდ. ეს პუნქტები მთლიანად შეთანხმებულია, გარდა პუნქტისა ალბანეთის შესახებ. მიუხედავად ამისა, ჩვენ წინადადებას გვაძლევენ საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირის შემადგენლობის საკითხი სულ სხვაგვარად გადავწყვიტოთ, ვიდრე ნიუ-იორკის სესიაზე შევთანხმდით, და სულ სხვაგვარად, ვიდრე ეს გათვალისწინებულია პროცედურის 1, 2 და 3 პუნქტებით, რომლებიც ჩვენ მიერ შეთანხმებულია. რაშია საქმე? რატომ უნდა გადავუხვიოთ წინანდელ გადაწყვეტილებებს? მართალია, ნიუ-იორკის სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი იყო ერთი პირი, ახლა კი ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივანი სხვა პირია, ამაში არის განსხვავება. მაგრამ ჩვენთვის სასურველი იქნებოდა ასეთ შემთხვევაში გვცოდნოდა, არსებითად რა მოტივებია ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაცვლელად.

მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ამერიკის ახლანდელი წინადადება ძირეულად სცვლის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას. წინათ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კონსულტაციაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ხუთმა დიდმა სახელმწიფომ და სხვა მოკავშირე სახელმწიფოებმა, სულ ერთად 24 სახელმწიფომ, თუ ჩავთვლით ალბანეთს, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდნენ; ახლა კი წინადადებას გვაძლევენ ამ 24 სახელმწიფოს (თუ ალბანეთს ჩავთვლით) დავუმატოთ კიდევ 34 სახელმწიფო: გვატემალა, დომინიკელთა რესპუბლიკა, კოსტა-რიკა, კუბა, ნიკარაგუა, ჰაიტი, პანამა, სალვადორი, ჰონდურასი, მექსიკა, ფილიპინები, აბისინია, ერაყი, ბოლივია, ირანი, იტალია, კოლუმბია, ლიბერია, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, პარაგვაი, პერუ, ჩილი, ურუგვაი, ვენესუელა, თურქეთი, ეგვიპტე, სირია, ლიბანი, საუდის არაბეთი, ფინეთი, არგენტინა, ეკვადორი.

ამრიგად, წინადადებას იძლევიან, რომ მინისტრების საბჭო გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებისას მოეთათბიროს არა მარტო იმ ქვეყნებს, რომლებიც საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ, არამედ ისეთ სახელმწიფოებსაც, რომლებმაც გერმანიას ომი გამოუცხადეს მის კაპიტულაციამდე რამდენიმე კვირით ადრე და რომლებიც კი არ იბრძოდნენ მის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, ომის განმავლობაში ხშირად ეხმარებოდნენ მას, როგორც, მაგალითად, თურქეთი. ასეთი მდგომარეობის დროს ხმა მოკავშირე ქვეყნებისა, რომლებიც იბრძოდნენ, ჩაინთქმება იმ სახელმწიფოთა ხმებში, რომლებიც არ ომობდნენ.

— ცხადია, — სთქვა მოლოტოვმა, — რომ არ შეიძლება უგულებელყოფა საფრანგეთის დელეგაციის მიერ აქ ჩამოყალიბებული მოტივებისა, რომლებიც ამბობენ, რომ ერთ გროვად არ უნდა აეურიოთ ეს სახელმწიფოები, არ უნდა გავათანაბროთ ისინი, როცა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებას ვამზადებთ. ჩვენ უნდა ვაღიაროთ განსხვავება იმ სახელმწიფოებსა, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ ომობდნენ, და იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ, უკეთეს შემთხვევაში პასიური მეთვალყურეები იყვნენ, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ ეხმარებოდნენ გერმანიას ჩვენი ერების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასასრულ მოლოტოვმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა უკვე მიღებულ გადაწყვეტილებათა დაფასება და მათი შესრულება. ამის შესაბამისად საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა შესრულებულ იქნას გადაწყვეტილება, რომელიც უკვე მიღებული იყო მინისტრების საბჭოს ნიუ-იორკის სესიაზე, აგრეთვე გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იყო მიმდინარე სესიაზე და ჩაწერილია პროცედურის 1, 2 და 3 პუნქტებში, რომლებიც მოკავშირე სახელმწიფოებთან კონსულტაციას ეხება.

მარშალი, რომელმაც ვერ შესძლო უარეყო, რომ ამერიკის წინადადება ეწინააღმდეგება მინისტრების საბჭოს ნიუ-იორკის სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, შეეცადა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ეს გადაწყვეტილება ეხებოდა მხოლოდ იმას, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებს მოესმინათ ლონდონში გარკვეულ მოკავშირე სახელმწიფოთა თვალსაზრისები, მაგრამ აღნიშნული არ იყო, რომ ეს სახელმწიფოები ერთადერთნი არიან, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საზავო ხელშეკრულების განხილვაში, რამდენადმე არა-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიაზე

(დასასრული)

სებითი არგუმენტების უქონლობის გამო, რომლებიც შეიძლებოდა დაეპირისპირებინა საბჭოთა დელეგაციის არგუმენტებისათვის, მარშალმა მიმართა დაუსაბუთებელ გალაშქრებას ამ დელეგაციის წინააღმდეგ და გადაკვრით სთქვა, თითქოს საბჭოთა დელეგაცია უგულებელჰყოფს მცირე სახელმწიფოთა უფლებებს. ამავე დროს მარშალი შეეცადა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები იცავენ მცირე ხალხთა უფლებებს, განსაკუთრებით კი იმ მცირე ქვეყნების უფლებებს, რომლებიც მათ ომის დროს უთმობდნენ აეროდრომებს, ნავსადგურებს, ბაზებს.

საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა ამჯერად მხარი არ დაუჭირეს მარშალს, და იგი მარტოდმარტო დარჩა თავისი წინადადებებით, რომლებიც მიმართული იყო საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირის ხელოვნური გადაქცევისაკენ ისეთ ორგანოდ, რომელშიც იმ ქვეყნებს, რომლებსაც ომში აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ, ხმის უმრავლესობა ექნებოდათ იმ სახელმწიფოებთან შედარებით, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

კუვ დე მიურვილმა და ბევინმა განაცხადეს, რომ ისინი კვლავ იცავენ თავიანთ უწინდელ წინადადებას. კუვ დე მიურვილმა ამასთან აღნიშნა, რომ მინისტრების საბჭოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ სახელმწიფოთა სხვადასხვა კატეგორიების დაწესებას. პირველ კატეგორიაში, პროცედურის დოკუმენტის მოცემული ნაწილის 1 და 2 პუნქტების თანახმად, შედიან გერმანიის მეზობელი მოკავშირე სახელმწიფოები და სხვა მოკავშირე სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე კატეგორიას, 3 პარაგრაფის თანახმად, მიეკუთვნებიან სხვა მოკავშირე ქვეყნები, რომლებმაც ომი გამოუცხადეს გერმანიას, და ყოფილი მტრული სახელმწიფოები, რომლებიც შემდეგ მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში მოკავშირეთა მხარეზე. კუვ დე მიურვილმა წინადადება შეიტანა საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირის შექმნის დროს ეხელმძღვანელათ ამ დებულებებით.

მოლოტოვი შეეხო მარშალის განცხადებას და სთქვა:

— აქ სთქვეს, საჭიროა პატივისცემით ვეპყრობოდეთ სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტს. საჭიროა პატივისცემით ვეპყრობოდეთ არა მარტო იმათ, ვინც გერმანიის წინააღმდეგ ომობდა, არამედ იმ სახელმწიფოებსაც, რომლებიც რაიმე ზომით დახმარებას გვიწევდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად სთვლის არა მარტო დიდი, არამედ აგრეთვე მცირე სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემას. მას მშვენივრად ესმის, რომ ამჟამად სახელმწიფოთა ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემა დიდი სახელმწიფოების მხრივ განსაკუთრებით საჭიროა, ვინაიდან ამ პრინციპს ყოველთვის და ყველა დიდი სახელმწიფო როდი იცავს.

მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადება არათუ არ იშორებს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც გერმანიას არ ეომებოდნენ, მაგრამ რამეთი მაინც ეხმარებოდნენ მოკავშირეებს ამ ომში, არამედ პირდაპირ უზრუნველჰყოფს მათს მონაწილეობას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებაში იმ საკითხებზე, რომლებითაც ისინი უშუალოდ არიან დაინტერესებულნი, ვინაიდან, პროცედურის მე-3 პუნქტის მიხედვით, რომელიც უკვე მიღებულია მინისტრების მიერ, ეს სახელმწიფოებიც მონაწილეობას მიიღებენ კონსულტაციებში, თუმცა არ შევლენ საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირში.

დასასრულ მოლოტოვმა სთქვა:

— საფრანგეთისა და ბრიტანეთის დელეგაციებმა წინადადება შემოიტანეს გამოვნახოთ განსახილველი საკითხის კომპრომისული გადაწყვეტა. საბჭოთა დელეგაცია მზად არის წავიდეს ამ გზით. თავის მხრივ იგი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას მისი წინადადება და მას დაემატოს საფრანგეთ-ბრიტანეთის წინადადების შემდეგი პუნქტები:

„სხვა მოკავშირე სახელმწიფოები, რომლებიც ომის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, და ყოფილი მტრული სახელმწიფოები, რომლებიც შემდეგ მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში მოკავშირეთა მხარეზე, ინფორმირებული იქნებიან საბჭოს მუშაობის შესახებ ამ პუნქტის 2 და 3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესით.

ამ სახელმწიფოებს შეეძლებათ წერილობითი ფორმით წარუდგინონ თათბირს თავიანთი შენიშვნები იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებსაც მათ გააცნობენ. აგრეთვე მათ შეეძლებათ წერილობითი ფორმით დააყენონ საკითხები ყოველი პრობლემის შესახებ, რომელიც ამ დოკუმენტებშია განხილული".

ამრიგად, საბჭოთა დელეგაციამ ანგარიში გაუწია დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციების წინადადებას და შესაძლებელი გახადა შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვან საკითხზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების დასაჩქარებლად და ამ საქმეში მოკავშირე სახელმწიფოთა ჩასაბმელად. მაგრამ შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღება მაინც ვერ მოხერხდა, ვინაიდან ამერიკის დელეგაციას დაჟინებით არა სურს დაეთანხმოს ამ შეთანხმებას. მარშალმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატებს სურთ განსახილველი საკითხის შესახებ იმსჯელონ დელეგაციის შიგნით და რომ იგი ვერათერს დაუმატებს ნათქვამს.

ამრიგად, საკითხი საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირის შემადგენლობის შესახებ ჰაერში გამოკიდებული დარჩა.

საზავო ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის შედგენის შესახებ

დღევანდელ სხდომაზე მინისტრებმა მიიღეს შეთანხმებული გადაწყვეტილება საზავო ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის შედგენის შესახებ.

როგორც წინათ ვიუწყებოდით, ამერიკის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა, რომ ეს ტექსტი შედგენილ იქნას საზავო კონფერენციის იმ რეკომენდაციების საფუძველზე, რომლებიც ხმების 2/3-ით იქნება მიღებული; სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, საქმე ეხებოდა იმას, რომ ხმების 2/3-ის უმრავლესობით მიღებული რეკომენდაციები საზავო კონფერენციისა რაღაც სავალდებულო დირექტივების მაგვარი უნდა იყოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის. საბჭოთა კავშირის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციებმა ამ წინადადების საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვეს.

გუშინ ამერიკის დელეგაციამ შესცვალა თავისი წინადადება და განაცხადა, რომ იგი თანახმაა მიღებულ იქნას ის წესი, რომელიც გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან საზავო ხელშეკრულებათა შესახებ პარიზის საზავო კონფერენციის რეკომენდაციების მიმართ არსებობდა. ამ წესის შესაბამისად მინისტრების საბჭო მხედველობაში იღებს იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც მხარს დაუჭერს ხმების 2/3, და სხვა რეკომენდაციებს, რომლებსაც მხარს დაუჭერს ხმების უმრავლესობა.

დღევანდელ სხდომაზე ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის დელეგაციებმა განაცხადეს, რომ ეთანხმებიან ამერიკის ახალ წინადადებას, და საკითხი გადაწყვეტილ იქნა.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირზე ავსტრიის ხელშეკრულების გამო

საფრანგეთის წინადადებანი გერმანული აქტივების შესახებ ავსტრიაში

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). ოთხი სხდომის განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები ავსტრიის საკითხის გამო განიხილავდნენ საფრანგეთის დელეგაციის წინადადებებს ყოფილი გერმანული აქტივების შესახებ ავსტრიაში.

როგორც ცნობილია, საკითხი გერმანული აქტივების შესახებ ავსტრიაში ხანგრძლივი მსჯელობის საგანი იყო ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირზე, ხოლო შემდეგ ვენაში ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიის სხდომებზე. საბჭოთა დელეგაცია მოითხოვდა და მოითხოვს პოტსდამის შეთანხმებათა შესრულებას, რომელთა შესაბამისადაც ყოფილი გერმანული აქტივები აღმოსავლეთ ავსტრიაში გადავიდნენ სსრ კავშირის საკუთრებად გერმანიისაგან კუთვნილი რეპარაციების ანგარიშში, ხოლო ყოფილი გერმანული აქტივები დასავლეთ ავსტრიაში დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა საკუთრებად.

ვენაში ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიის მუშაობის დამთავრებისას საფრანგეთის დელეგაციამ შეიტანა ახალი პროექტი, რომელსაც ლონდონში დაუმატა 27 ნოემბრის განცხადება.

როგორც იუწყებიან, ეს დამატებანი, რომლებიც განმარტავენ ვენაში შეტანილ საფრანგეთის თავდაპირველ წინადადებას, ეხებოდნენ ნავთის მრეწველობის დარგში ყოფილ გერმანულ აქტივებზე სსრ კავშირის უფლებათა განმტკიცებას. ამ წინადადებათა თანახმად საბჭოთა კავშირი მიიღებს კონცესიებს, რომლებიც დაახლოებით უდრის იმ ნავთის ნახევარს, რომლის ამოღებაც ავსტრიაში ამჟამად სწარმოებს. შემდეგ საფრანგეთის დელეგაცია წინადადებას იძლევა სსრ კავშირს დაეტოვოს უფლება ნავთის ძიებისა ყველა გამოკვლეული ფართობის ერთ მესამედზე აღმოსავლეთ ავსტრიაში. საფრანგეთის წინადადება ითვალისწინებს კონცესიის ისეთი ვადების დადგენას, რომლებიც შეესაბამება ჩვეულებრივ პრეცედენტებს ამ დარგში.

მაგრამ აგრეთვე იუწყებიან, რომ საფრანგეთის დელეგაციამ გადაკვრით სთქვა, რომ ეს ვადები შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს და 50 წლამდე ავიდეს. ნავთის გადამუშავების დარგში საფრანგეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რომ სსრ კავშირმა დაიტოვოს ნავთსახდელი ქარხნები, რომელთა სიმძლავრე 250 ათასიდან 300 ათასამდე ტონა წელიწადში. წინადადება აგრეთვე ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირი შეინარჩუნებს ნავთის გასაღების საწარმოებს, რომლებიც მას ამჟამად აღმოსავლეთ ავსტრიაში აქვს როგორც გერმანული აქტივები. დუნაის სანაოსნო კომპანიის შესახებ საფრანგეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რომ სსრ კავშირის სასარგებლოდ გადაეცეს გერმანული აქტივები დუნაის სანაოსნოსი უნგრეთში, რუმინეთში და ბულგარეთში, მაგრამ საფრანგეთის წინადადება არ ითვალისწინებს სსრ კავშირისათვის ამ კომპანიის იმ გერმანული ქონების გადაცემას, რომელიც აღმოსავლეთ ავსტრიაშია.

ხოლო რაც შეეხება ყველა დანარჩენ გერმანულ აქტივებს აღმოსავლეთ ავსტრიაში, გარდა ნავთისა და დუნაის სანაოსნოსი, საფრანგეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რომ მათ ნაცვლად ავსტრია ვალდებული იყოს მიაწოდოს საბჭოთა კავშირს 100 მილიონი დოლარის სხვადასხვა საქონელი მთელი რიგი წლების მანძილზე.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი დოჯი და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი მარჩბენქსი საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირზე ავსტრიის საკითხის გამო ლონდონში საერთოდ შეუერთდნენ საფრანგეთის ამ ახალ წინადადებას.

საბჭოთა დელეგატმა კოკტომოვმა, რომელიც საფრანგეთის წინადადების კრიტიკით გამოვიდა, ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია ავსტრიაში არსებული გერმანული აქტივების საკითხში იდგა და დგას პოტსდამის შეთანხმების ბაზაზე.

მაგრამ საბჭოთა დელეგაციას უარი არ უთქვამს შეისწავლოს საფრანგეთის ახალი წინადადებაც. მინისტრების მოადგილეთა სხდომაზე საფრანგეთის წინადადების იმ სახით შესწავლამ, როგორც იგი წარმოდგენილ დოკუმენტებშია ჩამოყალიბებული, ცხადჰყო, რომ იგი, საბჭოთა დელეგაციის აზრით, არ წარმოადგენს სამართლიან საფუძველს ავსტრიაში არსებული ყოფილი გერმანული აქტივების საკითხში უთანხმოებათა გადასაწყვეტად.

მოადგილეთა დღევანდელ სხდომაზე ავსტრიის საკითხის გამო დამთავრებულ იქნა შედგენა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის წარსადგენი მოხსენებისა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ოთხივე დელეგაციის პოზიციები საფრანგეთის ახალი წინადადების შესახებ.

დარბაზობა ბუკინგემის სასახლეში

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საქდესი). დღეს მეფემ გეორგ VI ბუკინგემის სასახლეში დარბაზობა გამართა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში წარმოდგენილი დელეგაციების პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის დელეგაციის წევრები ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. ვიშინსკი, მარშალი სოკოლოვსკი, გ. ნ. ზარუბინი და ა. ა. სმირნოვი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ საუზმე გამართა

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საქდესი). 3 დეკემბერს დღისით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კ. ეტლიმ საუზმე გამართა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში მონაწილე დელეგაციების ხელმძღვანელებისათვის. საბჭოთა მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი და სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში გ. ნ. ზარუბინი.

ამერიკელების აშკარა ჩარევა იტალიის საშინაო საქმეებში

რომი, 3 დეკემბერი. (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტომ გამოაცხადა, რომ „მთავრობის ოფიციალური ავტორიტეტული წყაროდან" მიღებული ცნობებით, ვაშინგტონში, ამერიკის შეერთებული შტატების არმიისა და კონგრესის წრეებში სწავლობენ წინადადებას იტალიისათვის „სამხედრო კონსულტაციისა და დახმარების" გაწევის შესახებ იმ შემთხვევაში, „თუ იტალიის მთავრობა ამას ითხოვს" იტალიაში არსებულ საშინაო მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, სააგენტოს სიტყვით, იტალიაში გაიგზავნება ამერიკის „სამხედრო მისია", ისეთი, როგორიც უკვე იმყოფება საბერძნეთსა და თურქეთში. სააგენტო აცხადებს, რომ იტალიის მთავრობის ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებული იქნებოდა; მით უმეტეს, რომ, ამერიკელ მეთვალყურეთა აზრით, იტალიის პოლიცია და არმია მეტად „აპათიურად" იქცეოდენ მილანში მომხდარი ამბების დროს.

იტალიის საზოგადოებრიობა პროტესტს აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ იტალიის საშინაო საქმეებში შემდგომი ჩარევის ცდების წინააღმდეგ.

ისეთი მემარჯვენე გაზეთიც კი, როგორიცაა „მომენტო სერა", აღშფოთებას გამოსთქვამს ამერიკული სააგენტოს ცნობის გამო, რომელიც გავრცელებულია იმისათვის, რომ მოსინჯონ ჩვენი საზოგადოებრივი აზრის რეაქცია". ამასთან ერთად გაზეთი „ჯორნალე დ' იტალია" აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „ამის უფლება აქვთ", რადგან ისინი „იტალიას ჰკვებავენ".

ანტვერპენში დამთავრდა სოციალისტური პარტიების საერთაშორისო კონფერენცია

პარიზი, 2 დეკემბერი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ საღამოს დამთავრდა სოციალისტური პარტიების საერთაშორისო კონფერენცია ანტვერპენში. კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „გარემოებანი ხელს არ უწყობენ საერთაშორისო სოციალისტური ინტერნაციონალის შექმნას, მაგრამ ეს საკითხი წინანდებურად იქნება დასმული საერთაშორისო სოციალისტური საზოგადოებრივი აზრის წინაშე და მისი განხილვა განახლდება, როცა ამისი დრო დადგება".

რეზოლუცია განსაზღვრავს საკონსულტაციო კომიტეტის წევრი პარტიების ურთიერთობას და წევრების მიღების წესებს. რეზოლუციაში ნათქვამია აგრეთვე, რომ საკონსულტაციო კომიტეტი შეიცვლება „საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციების კომიტეტით". კავშირურთიერთობისა და ინფორმაციის ბიუროს საქმიანობა, აგრეთვე სამდივნოს ახლანდელი შემადგენლობა გადასინჯულ იქნება ამ კონფერენციის დამთავრების შემდეგ.

თავმჯდომარეთა შეცვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საქდესი). ალფაბეტის წესით ყოველთვიური შეცვლის პრინციპის თანახმად, 1 დეკემბერს ახალმა თავმჯდომარეებმა პოსტები დაიკავეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა იმ ორგანოში, რომლებიც დაკავშირებულია უშიშროების საკითხებთან. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე გახდა ჰუდი (ავსტრალია), ნაცვლად ოსტინისა (ამერიკის შეერთებული შტატები); უშიშროების საბჭოს ექსპერტთა კომიტეტის თავმჯდომარე—ჰერი (ავსტრალია), ნაცვლად ნოისისა (ამერიკის შეერთებული შტატები); სამხედრო-საშტაბო კომიტეტის თავმჯდომარე — გენერალი ხო-ინ-ცინი (ჩინეთი), ნაცვლად ადმირალ ჰიუტისა (ამერიკის შეერთებული შტატები); ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის თავმჯდომარე — პაროდი (საფრანგეთი), ნაცვლად გონსალეს ფერნანდესისა (კოლუმბია); ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიის თავმჯდომარე — გრომიკო (სსრ კავშირი), ნაცვლად ელ კუდრაჯისა (სირია).

თეატრები

5 დეკემბერს: **ფალიაშვილის სახელობის** — დღისით — „პატარა კახი", საღამოს — „მთების ძახილი"; **რუსთაველის სახელობის**—„სადგურის უფროსი"; **მარჯანიშვილის სახელობის**—„ცხვრის წყარო"; **გრიბოედოვის სახელობის** — „რღვევა"; **მუსიკალური კომედიის** — „სიმღერის ძალა"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**— „მთის ბიჭები"; **რუსული** — „უეცარი სიმდიდრე".

5 დეკემბრიდან **რუსთაველის სახელობის კინოთეატრსა და „ოქტომბერში"**
ნაჩვენები იქნება ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი

„აკაკის აკვანი"

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ნაწარმოები. სცენარის ავტორები: **ლ. ასათიანი** და **კ. პიპინაშვილი**. დადგმა რეჟისორ **კ. პიპინაშვილისა**, მთავარი ოპერატორი **ფ. ვიხოძკი**, კომპოზიტორი **ა. მაჭავარიანი**, მხატვარი **დ. კაკაბაძე**. მთავარ როლებს ასრულებენ: **ო. ჩიტაია** (აკაკი წერეთელი 7 წლისა), **ზ. ქოჩორაძე** (აკაკი 18 წლისა), **მ. ყვარელაშვილი** (აკაკი-იუბილარი); **ნატა ვაჩნაძე, თ. ციციშვილი, ს. ბალაშვილი, კ. მიქაბერიძე, ა. აფხაიძე, ლ. აბაშიძე, კ. დაუშვილი, ე. მაღალაშვილი, ნ. კანდელაკი.**

„გლავკინოპროკატის" საქართველოს კანტორის 1947 წლის გამოშვება.

საფრანგეთის ნაციონალურ კრებაში მომხდარი ინციდენტის გამო

პარიზი, 2 დეკემბერი. (საქდესი). გაზეთი „ლუმანიტე", რომელმაც მოათავსა ნაციონალური კრების გუშინდელი სხდომის ანგარიში, სწერს: „გუშინდელი სხდომის კულმინაციური პუნქტი იყო კრებიდან რაულ კალის — ეროვნული განთავისუფლებისათვის სახალხო ბრძოლის გმირის გარიცხვა, რომელსაც ვიშის მთავრობამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. დეპუტატ პიერ კოტის შემდეგ სიტყვა აიღო რაულ კალმა, რომელმაც სთქვა: „იქონიეთ მხედველობაში, რომ ახლანდელი არმია უკვე ის აღარ არის, რაც გუშინ იყო, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სახელოვანმა მე-17 პოლკმა უარი სთქვა ხალხისთვის ესროლა 1907 წელს!"

„ეს იყო ტიპიური რესპუბლიკური ფრაზა, რომელიც ნათქვამი იყო ყველა ჩვენი უძველესი სახელოვანი ტრადიციის დასადასტურებლად,— სწერს „ლუმანიტე". — კალამდე თხუთმეტმა კომუნისტმა ორატორმა უკვე დაახლოებით იგივე სთქვა. მაგრამ ეროომ გაბედა მოეთხოვა ნაციონალური კრებიდან მისი გარიცხვა".

გაზეთი „ფრან-ტირერი" იუწყება, რომ იმ ღამეს ბურბონთა სასახლეში გამოწვეულ იქნა სამი სატვირთო მანქანა შეიარაღებული პოლიციელებით. „დილის 6 საათსა და 15 წუთზე, — სწერს გაზეთი „სე სუარი", — ბურბონთა სასახლის სამხედრო კომენდანტმა და ორმა დამცველმა კალი ტრიბუნიდან ჩამოათრიეს".

გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ ნაციონალური კრების კომუნისტურ ჯგუფს მრავალი დეპეშა მოსდის. „გაფიცული ქარხნების მუშები, რესპუბლიკური ორგანიზაციები, წვრილი ფერმერები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, — სწერს გაზეთი, — კომუნისტ დეპუტატებს მადლობას უცხადებენ იმისათვის, რომ მათ არასოდეს არ შეუწყვეტიათ ბურბონთა სასახლეში იმ მშრომელთა მასების მისწრაფებათა და მოთხოვნათა დაცვა, რომლებმაც მათ ნდობა გამოუცხადეს. მარსელელი დოკერების დეპეშაში ნათქვამია: „რესპუბლიკური და დემოკრატიული ძალების გამარჯვების მისაღწევად ჩვენ მასების მოქმედებით მხარს დავუჭერთ თქვენს საპარლამენტო მოღვაწეობას".

პარიზი, 2 დეკემბერი. (საქდესი). ნაციონალური კრების გუშინდელი სხდომა მწვავე ინციდენტით დამთავრდა. იმ კომუნისტ დეპუტატთა შორის, რომლებიც პროტესტით გამოდიოდნენ მთავრობის კანონპროექტის წინააღმდეგ, სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე დეპუტატმა კალმა, რომელმაც ილაპარაკა გაფიცვების შესახებ და განაცხადა: „იმედი მაქვს, რომ ჩვენი ახალგაზრდა ჯარისკაცები მე-17 პოლკის თავიანთი უფროსი ამხანაგების მაგალითისამებრ უარს იტყვიან ხალხს ესროლონ". ამ დროს კომუნისტური ჯგუფის დანარჩენი დეპუტატები ადგნენ და იმღერეს სიმღერა „მე-17 პოლკის ჯარისკაცებზე". სხვა დეპუტატებმა სხდომის დარბაზი დასტოვეს. უწესოებისა და ხმაურის გამო კრების თავმჯდომარემ ეროომ სხდომის შეწყვეტა გამოაცხადა. შეწყვეტის შემდეგ ეროომ წინადადება მისცა კრებას დეპუტატ კალისთვის გამოეტანა გაკიცხვა და დროებით გარიცხვა იგი „ამბოხებისადმი წაქეზებისათვის". კრებამ გადაწყვიტა გაკიცხვის გამოტანა. მაგრამ კომუნისტების მქუხარე პროტესტებმა კვლავ აიძულეს ეროო სხდომა შეეწყვიტა.

მაგრამ დეპუტატმა კალმა ტრიბუნა არ დასტოვა, რომელზეც იგი 20 საათსა და 30 წუთზე ავიდა. დარჩნენ დეპუტატი კომუნისტებიც, მაშინ როცა დანარჩენმა დეპუტატებმა სხდომის დარბაზი დასტოვეს. კალმა ტრიბუნა დასტოვა და სხდომის დარბაზიდან სხვა კომუნისტ დეპუტატებთან ერთად მას შემდეგ გავიდა, რაც მას წარუდგინეს ბურბონთა სასახლის სამხედრო კომენდანტის წერილობითი განკარგულება პარლამენტის შენობიდან მისი გაყვანის შესახებ; ეს განკარგულება გასცა ნაციონალური კრების ბიურომ დაახლოებით დილის 6 საათზე. კომუნისტმა დეპუტატებმა პროტესტი განაცხადეს „ნაციონალური კრების შენობაში შეიარაღებული ძალის გამოყენების" წინააღმდეგ.

გერმანიის დანაწილების საიდუმლო გეგმები

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). გაზეთი „დეილი უორკერი" დღეს აქვეყნებს საყურადღებო ცნობას იმის შესახებ, რომ არსებობს გერმანიის დანაწილების საიდუმლო ამერიკული გეგმა. გაზეთის მტკიცებით, ეს გეგმა ბრიტანეთის მთავრობას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა დუგლასმა გადასცა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიის გახსნის წინ და მიღებულ იქნა ბრიტანეთის მთავრობის მიერ.

გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, ამერიკის საიდუმლო გეგმა შემდეგი ოთხი მუხლისაგან შესდგება:

1. ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობებს ყველგან ისე უჭირავთ თავი, თითქოს ერთიანი გერმანიის სახელმწიფოს შექმნის მომხრენი არიან.

2. გერმანიის დასავლეთ ზონებში მოქმედებას იწყებს „ამერიკის საქმიანი მანქანა" (ნაგულისხმევია ამერიკის უოლ-სტრიტის კაპიტალისტური მონოპოლიების ფილიალები).

3. გერმანიის ოკუპაციის ფრანგული ზონა უერთდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ ზონებს, რაც უკვე ფაქტიურად მომზადებულია ჯერ კიდევ ოთხი მინისტრის თათბირის დაწყებამდე.

4. სამივე დასავლეთ ზონაში ამერიკის მითითებით იქმნება „შენიღბული პოლიტიკური ორგანიზაცია". ასეთი ორგანიზაციის ბირთვს შეადგენს სამი ზონის არაოფიციალური „მთავრობა", რომელშიც ავტომატურად შევლენ დასავლეთი პროვინციების (მხარეების) პრემიერ-მინისტრები. მაგრამ, შენიღბვის მიზნით, ამ ორგანოს შეიძლება ეწოდოს არა „მთავრობა", არამედ „სამზონალური კომიტეტი".

ამავე დროს, „დეილი უორკერის" ცნობით, დასავლეთ სახელმწიფოებს განზრახული აქვთ შეინარჩუნონ თავიანთი „უდიდესი სამხედრო-ჯაშუშური ორგანიზაცია ბერლინში".

ლონდონის გაზეთის ამ ცნობას ადასტურებენ მთელი რიგი სხვა მასალები, რომლებიც უკანასკნელ დღეებში გამოქვეყნდა საერთაშორისო პრესაში. მაგალითად, ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიის გახსნის დღეს პარიზის გაზეთი „მონდი", საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი, ეხებოდა სესიის პერსპექტივებს და სწერდა: „ორი გერმანიის შექმნა ისეთი ბოროტება იქნებოდა გერმანელებისათვის, რომ ყველა მოკავშირე უნდა შიშობდეს ფსიქოლოგიური შედეგების გამო. მაგრამ, თუ ეს არ შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას, კარგი იქნებოდა გზა ღია დარჩენილიყო მომავლისათვის... და თუ ცენტრალური პოლიტიკური ხელისუფლება გერმანიის ამა თუ იმ ნაწილში დაწესებულ უნდა იქნას, სრულიადაც არ არის საჭირო მას „მთავრობა" ეწოდოს; შეიძლებოდა შექმნილიყო დროებითი კომიტეტი უკეთესის მოლოდინში... ბერლინში მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს შენარჩუნება ნებას მოგვცემდა გვეთქვა, რომ გერმანიის ერთიანობა არ დარღვეულა. თუ მართალია, რომ ამ საბჭოს ძალაუფლება მუდამ ფიქციური იყო, ამ შემთხვევაში ასეთი ფიქცია უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა".

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზის მოყვანილი განცხადება სავსებით ადასტურებს ცნობას გერმანიის დანაწილების გეგმის არსებობის შესახებ. განზრახულია ეს გეგმა განახორციელონ იმ პოლიტიკის ფიქციური დაცვის საფარველით, რომელიც მიმართულია გერმანიის ერთიანობის შესანარჩუნებლად.

ამავე სულისკვეთებით, როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი, აზრს გამოსთქვამს ლონდონის კარგად ინფორმირებული ჟურნალი „ტრიბუნი". „ტრიბუნი" ეხება ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკას გერმანიაში და სწერს, რომ ამ სახელმწიფოებმა, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი იქნება ლონდონის სესიის შედეგი, დამოუკიდებლად, „უნდა დააჩქარონ დასავლეთი ზონების რეორგანიზაციისა და გარდაქმნის ჯანსაღი გეგმის განხორციელება, მაგრამ უნდა ეცადონ ეს ისეთი კონსტიტუციური და ლეგალური გზით გააკეთონ, რომ კარი ღია დარჩეს გერმანიის გასაერთიანებლად უფრო გვიანი და უფრო ხელსაყრელი შემთხვევის დროს".

„ტრიბუნი" გაფრთხილებას იძლევა განსაკუთრებული დასავლეთი გერმანიის სახელმწიფოს აშკარად შექმნის წინააღმდეგ, მაგრამ მიაჩნია, რომ გადადგმულ უნდა იქნას „პოზიტიური ნაბიჯები". ასეთ ნაბიჯებად ჟურნალს პირველ რიგში მიაჩნია „მთელი დასავლეთი გერმანიისათვის შესაფერისი გერმანული მთავრობის" ორგანიზაცია, აგრეთვე „მთელი დასავლეთი გერმანიისათვის გერმანიის პარლამენტის" შექმნა.

ასეთია გერმანიის დანაწილების ფართო გეგმა, რასაც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობით დასავლეთ ევროპის დედაქალაქებში ამზადებენ.

თურქეთს ჩავიდა ამერიკელ სპეციალისტთა ახალი ჯგუფი

ანკარა, 3 დეკემბერი. (საქდესი). გაზეთ „ვათანის" ცნობით, სტამბოლს ჩამოვიდა საგზაო მშენებლობის რვა ამერიკელი ინჟინერი ამერიკის შეერთებული შტატების საგზაო მშენებლობის სამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსის ჰილტის მეთაურობით. ჰილტმ განაცხადა, რომ ისინი საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშავებენ თურქეთში გზატკეცილების სისტემის მშენებლობის გეგმას. გზების ცალკე უბნების მშენებლობა დაუყოვნებლივ დაიწყება საერთო გეგმის შედგენამდე.

---

6 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) მოწვეულია ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის IV პარტიული კონფერენცია.

6 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (ხაზჰოს ქ. № 128) მოწვეულია ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის პარტიული ორგანიზაციის XXIV კონფერენცია.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 17 დეკემბერს, დღის 3 საათზე (აუდიტორია № 86, მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ტიტე სარიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სკოლის ისტორია საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში (1900-1917 წ.)"**.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **გ. თავზიშვილი**, დოცენტი **დ. ლორთქიფანიძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ნანა და სალომე ჰერაშვილები, ნუცა, თამარ, ნანი და ჯემალი ზაბაკიშვილები, ანა, ელენე და ირაკლი ზურაბიშვილები იუწყებიან **გიორგი ბართლომეს-ძე ვარდიაშვილის** გარდაცვალებას.

შვილები სერგო, ივლიანე, ოლღა და ელენე, რძლები თამარი, ბაბუცა ოჯახებით იუწყებიან **ხასია ბურდლუს ასულ სილაგაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-XII, ს. ინჩხურში (გეგეჭკორის რაიონი).

შვილები სერგო, პატული, ელენე, გუგული, და მარიამი ოჯახებითურთ იუწყებიან დედის **ანასტასია შანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-XII, 7 ს. (ვარდისუბნის, 11). გამოსვენება 7-XII, 2 ს.

მეუღლე ნინო, შვილები სამა ბურჯანაძე, თამარ და ოფელია დავითაშვილები, სიძე ნიკოლოზ კველიშვილი, რძალი ჰპელი შვილებით იუწყებიან **გიორგი ოსების-ძე დავითაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-XII, გამოსვენება 7-XII, 2 ს. ჩახრუხაძის, 26.

თევზიევი, წილოსანი, თავართქილაძე, გალუსტოვი, ჩინთაძე, ყიფიანი, ჯაფარიძე, ბაღდასაროვი, ლომსაძე, ბაღდასარიანი, კახნიაშვილი, მახათაძე, თაიროვი, ზალინოვი, ბაზილიუკი, ჩაპლიგინი, საყვარელიძე, ნუნუიანი იუწყებიან **ოლია ჩიქოვანის** გარდაცვალებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო სესხი

მოგებათა მეორე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1947 წლის 22 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში. მოგება ხვდა სესხის ყველა 21 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
000424	37*)	1,000	011733	21*)	1,00
000465	1—50	500	011747	1—50	20
001156	1—50	200	011755	35*)	1,00
001347	48*)	1,000	012086	12*)	1,00
001395	04*)	1,000	012421	10*)	1,00
001789	37*)	1,000	012433	50*)	5,00
002260	02*)	1,000	012634	1—50	20
002347	11*)	5,000	012691	08*)	1,00
002498	35*)	1,000	012781	35*)	1,00
002616	09*)	1,000	012791	1—50	20
002697	1—50	500	012809	07*)	1,00
002821	35*)	1,000	012881	47*)	1,00
002845	1—50	500	013059	19*)	1,00
002951	24*)	1,000	013164	09*)	1,00
003118	09*)	5,000	013271	1—50	20
003165	21*)	1,000	013358	1—50	20
003423	04*)	1,000	013402	48*)	1,00
003557	27*)	1,000	013498	35*)	1,00
003754	26*)	1,000	013713	17*)	5,00
003801	30*)	1,000	013743	48*)	1,00
003811	05*)	1,000	013893	1—50	50
004164	1—50	200	013918	1—50	50
004320	26—50	200	013943	36*)	25,00
004428	08*)	1,000	013982	39*)	50,00
004444	22*)	1,000	014058	21*)	1,00
004595	47*)	1,000	014157	24*)	1,00
004726	1—50	200	014165	1—50	50
005021	1—50	500	014248	21*)	1,00
005078	42*)	1,000	014348	1—50	50
005126	06*)	1,000	014620	1—50	20
005361	35*)	1,000	014680	33*)	1,00
005381	29*)	1,000	014682	1—50	20
005417	10*)	10,000	015433	14*)	1,00
005569	1—50	500	015491	49*)	1,00
005799	1—50	200	015568	50*)	1,00
005824	1—50	500	015607	1—50	20
005833	06*)	1,000	015631	29*)	1,00
006014	16*)	1,000	015775	46*)	1,00
006121	22*)	1,000	015875	1—50	20
006139	1—50	200	015991	21*)	1,00
006275	37*)	1,000	016041	27*)	1,00
006341	1—50	200	016131	44*)	1,00
006568	1—50	200	016199	48*)	1,00
006771	1—50	200	016247	42*)	1,00
006894	44*)	1,000	016287	23*)	1,00
007040	41*)	1,000	016465	26*)	10,00
007129	24*)	1,000	016504	41*)	1,00
007225	1—50	200	016554	45*)	5,00
007298	16*)	1,000	016604	1—50	50
007443	45*)	1,000	016705	1—50	50
007583	42*)	10,000	016833	46*)	1,00
007591	1—50	200	016980	1—50	20
007638	22*)	10,000	017117	06*)	1,00
007722	1—50	200	017283	1—50	20
007745	01*)	1,000	017479	1—50	20
007767	23*)	1,000	017655	35*)	1,00
008200	24*)	1,000	017706	1—50	50
008223	20*)	1,000	017731	1—50	50
008244	07*)	1,000	017794	1—50	50
008446	41*)	1,000	017832	10*)	5,00
008762	1—50	500	017985	1—50	20
008816	11*)	1,000	018011	14*)	1,00
009065	11*)	25,000	018046	1—50	20
009078	1—50	200	018061	1—50	50
009176	20*)	1,000	018067	03*)	5,00
009428	12*)	1,000	018205	39*)	1,00
009799	1—50	500	018257	50*)	1,00
009894	1—50	200	018264	46*)	1,00
010255	22*)	1,000	018338	05*)	5,00
010294	1—50	200	018421	1—50	50
010317	49*)	1,000	018457	48*)	1,00
010472	29*)	1,000	018576	31*)	10,00
010655	45*)	1,000	018618	39*)	1,00
010723	1—50	200	018635	12*)	1,00
010753	34*)	5,000	018642	35*)	1,00
010831	50*)	1,000	018830	36*)	1,00
010862	10*	1,000	018862	1—50	20
011090	07*)	1,000	018961	50*)	1,00
011099	1—50	200	019199	44*)	1,00
011162	1—50	200	019294	31*)	1,00
011225	09*)	5,000	019297	29*)	1,00
011235	40*)	1,000	019383	38*)	1,00
011266	1—50	200	019542	18*)	1,00
011314	1—50	500	019777	1—50	20
011320	18*)	1,000	019819	32*)	1,00
011571	49*)	1,000	019848	22*)	1,00
			019919	05*)	1,00

---

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაცია ხვდა 200 მანეთი მოგება თითოეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე
პ. ნ. ზაქინი

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
ე. ნ. კალუგინა

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

დედა ვარინკა, ძმა გერონტი, და ნინო ბაბუნაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ვალიკო გრიგოლის-ძე ბაბუნაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-XII, 7 ს. გამოსვენება 7-XII, 4 ს. მარის, 30.

ამხანაგები ა. სხილაძე, რ. დარბაიძე, კ. [illegible], პ. ბარბაქაძე, ლ. გეგეშიძე, ე. კაპანაძე, გ. კუბლაშვილი, ნ. ვარდოსანიძე იუწყებიან **სამსონ პახუმის-ძე ფირცხალავას** გარდაცვალებას.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეორე თერაპიული კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **გრიშა დავითის-ძე ლლონტის** გარდაცვალებას.

შვილი დარიკო, სიძე ალექსი ვარდოშვილები იუწყებიან **ვარია ივანეს ასულ თოდუა-გოგაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-XII, 7 ს. გამოსვენება 7-XII, 4 ს. პლეხანოვის, 172.

დები ალათი, გალიტო, ძმა ნიკო ჯიბლაძეები იუწყებიან **ალექსანდრე გიორგის-ძე ჯიბლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-XII, 6 ს. გამოსვენება 7-XII, 3 ს. დიდუბის, 19.

მეუღლე თებრონე, შვილები ია, ბონდო, ნუცა, ევგრაფი, მირიან, ჯულიეტა ოჯახებით იუწყებიან **ერასტი სტეფანეს-ძე გოგავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-XII სამტრედიაში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 10934